

ქალღმერთნი

თავისი
თავის
ღერეაქი

ქობულა სამ მოქმედებად

И(ИСП)

86—2

კ 188

თ ა რ გ მ ა ნ ი
დავით ბაჩუაძისა

მოქმედი პირნი

მეფე ნეაპოლისა

მარგარიტა — ნეაპოლის მეფის ასული

ფედერიკო — სიცილიელი პრინცი, ტახტის მემკვიდრე

ედუარდო — სიცილიელი პრინცი, ფედერიკოს ძმა

ელენე — ნეაპოლის მეფის ნათესავი

სერაფინა — მარგარიტას მოახლე ქალი

რობერტო — ფედერიკოს მსახური

ენრიკე — ელენეს მსახური

ბენიტო — გლეხი

ანტონა — გლეხი ქალი, ბენიტოს სატარფო

კაპიტანი

კლეხები, ჯარისკაცები და მუსიკოსები

მოქმედება წარმოებს ნეაპოლის სამეფოში



მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

ტყე. კლდეები. ხმა სცენის სიღრმიდან
ფედერიკო და რობერტო

რობერტო

თუმც მოხდენილად გადმოხტა ცხენი,
ძირს წაფორხილდა, წაქცევაც თქვენნი
ამის ბრალია. დაშვებით?

(შემოდინ ფედერიკო და რობერტო. ეტყობათ, მთაზე ჩამოგორებულან. ფედერიკო აბჯარშია, ჩექმებზე აქვს დეზები).

ფ ე დ ე რ ი კ ო

ბედმა

გადამარჩინა კვლავ, სამწუხაროდ.

რ ო ბ ე რ ტ ო

ამას ნუ ამბობთ, სენიორ, ღმერთმა ყოველ ჭირასგან თქვენ დაგიფაროთ. ვიდრე ცოცხალ ხართ და კაცი გქვიათ, სულ უიმედო არ უნდა დარჩეთ, უნდა გჯეროდეთ, ადრე თუ გვიან ულმობელ ბედზე რომ გაიმარჯვებთ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

არა, რობერტო, აქ ერთადერთი სიკვდილი მიხსნის, სხვა არაფერი, — მხოლოდღა იგი დაუსვამს წერტილს სიცოცხლეს, ტანჯულს ავ ბედისწერით. ეხ, იმ წყეულ დღეს რატომ მახვილი ჩემს სასიკვდილოდ ვერ გამოსტყორცნა, და თვით დაეცა, ის, ქედმაღალი ჩემი მეტოქე, დონ პედრო სფორცა. არ ვიქნებოდი მაშინ ლტოლვილი, მსგავსად ქურდისა გაჭრილი ტყეში... ხედავ? ჩემს ცხენსაც ქვეშ მოყოლილი გადვუჩჩი, კლდიდან რომ გადმოვეშვი.

რაღაც განგებამ სასწაულებრივ
რისთვის მოაწყო ასე ყოველი?
ნუ გიკვირს ამას რომ გეუბნები,
კარგად დაფიქრდი თუ რა მომელის...
პირველი — ვკარგავ მე სამუდამოდ
ვარსკვლავს მიწისა, ყვავილსა ზეცის,
ჩემს მარგარიტას, და ამის გამო,
რაღა თქმა უნდა, რომ გული მეწვის.
მეორე — ტყეში, განა მხეცი ვარ,
უსაგზლოდ, უგზოდ დავეხეტები.
ვინ იცის, სადმე წამოგვეწიონ
დადევნებული მეფის მხედრები.
ეს იარაღიც ჩქარა გამამხელს,
ბრჭყვიალებს ძნელად დასაფარავი.
ადამიანის ბინის დამნახველს
უცებ დამაფრთხობს ფიქრი მზარავი: —
ვთქვათ მიცნეს, გამცეს, მაშინ ხომ ჩემზე
მეფე იძიებს შურს გააფთრებით,
როგორც თავისი დისწულის მკვლელობე?
თანაც, ჩვენა ვართ დიდი ხნის მტრები.
ჰოი, ეს მტრობა, ღვთისაგან კრული,
კაცს გონიერსაც რამდენად შეშლის...
იდუმლად, ნიღაბს შეფარებული
მან მიმიყვანა იქ სასახლეში,
საბედისწერო იმ ასპარეზზე,
რათა მებრძოლა შეუცნობელსა.
და ვერ გავბედე დღესასწაულზეც
ჩემი ნიღაბი რომ ჩამომეხსნა.

რა ვთქვი? ოჰ, არა, დღესასწაულად
ის დღე შავბნელი არ იწოდების...
იმ დღიდან მოდის ჩემი წამება,
ის სათავეა ჩემი გოდების.

რ ო ბ ე რ ტ ო

მდგომარეობა მძიმეა მართლაც,
არაფერია აქ დასამალი,
მაგრამ, სენიორ, მე ვხედავ ნათლად,
აქ მაინც არის გამოსავალი.
ღიახ, ყოველი დინჯად განვსაჯე,
და ვამბობ მტკიცედ, შეუცდომელი, —
ეს გზა სჯობია სიკვდილს ათასჯერ,
გთხოვთ დამიჯეროთ...

ფ ე დ ე რ ი კ ო

მაინც რომელი?

რ ო ბ ე რ ტ ო

ვერ გვიცნობს ხალხი ნეაპოლისა,
ვერც მოგვნახვენ, გაძლევთ პირობას.
მხოლოდ პირველად უნდა მოიხსნათ
ეგ სარაინდო აღჭურვილობა;
ხის ძირას დასდებთ, ზედ ფიჩხებს, ფოთლებს
წააწყობთ, გახლით ძნელმისაგნებლად,
შემდეგ ეწვევით მახლობელ სოფელს,
იტყვით, ვითომდა ავაზაკებმა,

რომელნიც ტყეში მართლაც ბევრია, გაგძარცვეს ისე, რომ ტანსაცმელიც არ შეგარჩინეს, — გერწმუნებიან, გლეხკაცობაა ალალი, წრფელი. თანაგიგრძნობენ გულუბრყვილობით, გაგიჩნდებიან იქ მფარველები, და ამნაირად, რასაც ვცდილობდით, ყოველგვარ მდევარს თქვენ გაუსხლტებით. მე კი, როდესაც მთლად დავრწმუნდები, რომ საიმედო ადგილზე რჩებით, ხელმწიფის კარზე კვლავ მივბრუნდები, — გამოვიკითხავ იქ დაწვრილებით, — თუ თქვენი სატრფო, მზე მარგარიტა, სად, როგორ არის, თან მოვაგროვებ თქვენს ძვირფას ნივთებს და ამოგიტანთ, რაც ჩვენ ამჟამად გვჭირდება ვგონებ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

შენ რომ არ მყავდე, ეს ჩემი ხვედრი გულს ათჯერ მეტად დაამძიმებდა; შენ მეგობარი ხარ ერთადერთი, მოვლინებული ჩემთვის იმედად. მეც ეგრე ვიზამ, სჯობს აზრი შენი, აბჯარს დავტოვებ ტყეში ახლავე. არათუ გლეხნი, პირქუში კლდენიც, როცა შიშველს და დაჭრილს მნახავენ, შემიბრალებენ და ბინას წამსვე მომცემენ თავის შესაფარებლად.

სულ რომ ვიტირო მარგარიტაზე, —
არ დამჭირდება თავშეკავება;
მათ ეგონებათ, სხვა მენანება,
ვტირი დაკარგულ სიმდიდრეს ჩემსას
და სიყვარულის იღუმალება
არ გაამყლავნოს ტანჯულის კენესამ.

რობერტო

იქით წავიდეთ და მივეფაროთ,
აქ აღვილია თქვენი დანახვა.
აჰა, ამოდის მზე სანეტარო,
მთები ოქროსფრად მოავარაყა.

ფედერიკო

შენ სასახლეში როდესაც მიხვალ,
ნახავ პრინცესას იქ საბაასოდ.
ეტყვი, რომ თავი მე აღარ მიყვარს,
რომ მე ვარ ფუჭი, უშინაარსო,
არარაობა, მთვლიდეს უღირსად...
ანდა აწ მიზნად რა უნდა მქონდეს,
როცა მფლობელი მისი გულისა
ველარ გავხდები მე ვერასოდეს?

გამოსვლა მმორე

სხვა ადგილას, იმაე ტყეში
ელენე და ენრიკე სამგზავრო ტანსაცმელში

ელენე

რა უნუგეშო, რარიგ მწუხარე,
კვლავ სოფელს ჩემსას შემოვეფარე...

თითქოს ვარ გლეხის ქალი უბრალო.
შენ შემეწიე, პოი, უფალო! —
რომ არ მომაკლონ ამ გლეხკაცებმა
თანაგრძნობა და პატივისცემა.

ე ნ რ ი კ ე

სენიორა, თქვენი მგლოვიარება,
ამ ყრუ სოფელში თავშეთარება,
აგრეთვე ისიც, რომ სამწუხაროდ,
ქცეულსა თქვენი გოდების წყაროდ
იმ ღღესასწაულს ვერ დავესწარი,
მაკადნიერებს გავიგო თქვენი
ყოველი ტანჯვა და საკენესარი,
მაშ მომიყევით, რადგანაც ბრძენი
ამას ტყუილად არ გვეუბნება:
ნახევრდებო თქმით მწუხარება.

ე ლ ე ნ ე

აი, გაამბობ, თუ შემწევს ძალა,
ოდეს უდროოდ გარდაიცვალა
მემკვიდრე, პრინცი ნეაპოლისა,
ქვეყანა შესძრა ზარმა გლოვისამ.
და ჰა, მოხეცმა მეფემ ინება,
რადგან ის არის ქამგადასული,
მარგარიტასი, თვისი ასულინს
ღირსეულ კაცზე დაქორწინება.
ამიტომ მეფემ ნეაპოლს იხმო
მთელი სამეფოს უფლისწულები.
ყოველი მხრიდან თანხმობა იყო,

ყველა ხარობდა ამ წვეულებით,
თან მარგარიტას დიდ სილამაზეს
ქებას ასხამდნენ პატივისცემით;
მაგრამ აღეგზნო უმეტეს სხვაზე
დონ პედრო სფორცა, მკვიდრი ძმა ჩემო.

როგორც მიჯნური, ის ყველა საშიშ
რაინდს, განთქმულსა უგმირესობით,
შესარკინებლად იწვევდა ხმალში,
ქამსა სამეფო ასპარეზობის.

რადგან საჯაროდ, მახვილით ხელში
მას დამტკიცება უნდოდა მისი,
რომ მარგარიტას ჰკუთნო და ემზით
ქვეყნად არვინ ჰყავს შესადარისი.

მაშინ ევროპის ყოველი მხრიდან
ერთბაშად ადგა და წამოვიდა

ყველა რაინდი უმამაცესი,

ყველა რაინდი ულამაზესი,

დიდხანს ელოდნენ, ბოლოს ეღირსათ,

დროც მოახლოვდა შეჯიბრებისა:

გაჩაღდა ცეკვა ფართო დარბაზში,

აქ მასკარადი, იქ სხვა თამაში...

და ნადიმის წინ ერთხელ, სალამოს,

როცა მუსიკაც ჟღერდა საამოდ,

ვხედავთ შემოდის გულდინჯად, ნელა,

ვისკენაც წამსვე მიბრუნდა ყველა,

ერთი რაინდი ნილაბოსანი.

იგი რაინდი გასაკვირველი,

ნილაბს ოდნაეაც არ გადაიწეეს...

მარგარიტასთან მივა პირველი
და საცეკვაოდ მას გამოიწვევს.
სანდომიანი თავდახრით, მზერით,
მეფის ასულიც სუფრიდან დგება,
ადგა ჩემი ძმაც, თუნდ წამიერი
არ მოეწონა ეს განშორება.
მაგრამ უცნობმა იმ კაბალერომ
დინჯად ხანჯალზე ხელი დაიდო,
და უტიფარმა, საბედისწეროდ,
სთქვა ეს სიტყვები: — „ფრთხილად, რაინდო,
მე ღირსეული ვარ ერთადერთი,
რომ ბედნიერი ვიყო მის გვერდით“.
ღონ პედრო პასუხს სამაგიეროს
გასცემდა, მაგრამ მეფე და გრანდნი
წინ გადაუდგნენ, ის კაბალეროც
წავიდა, გაქრა ისე, ვით ლანდი.
იმ ნილაბის ქვეშ ვინ იმალება?
ყველასთვის დარჩა იდუმალებად...
ის დღეც გათენდა, მოედანს სწრაფად
მოაწყდა ხალხი მოზარზეიმე...
ვერ დაიტევდა იმდენ ხალხს, ალბათ,
თვით ძველი რომის კოლიზეუმიც.
აგერ გამოჩნდა ვრცელ ასპარეზზე
ღონ პედრო სფორცა ამხედრებული,
ცხენზე რომ იჯდა ისე ლამაზად,
თითქოს მათ ჰქონდათ ერთი სხეული.
მერე ერთმანეთს მიჰყვნენ მხედრები,
რაინდნი, ბედის მაძიებლები

დევიზიანი დიდი ლერბებით,
მაგრამ მე მათზე არც შევჩერდები,
რადგან არცა ღირს ეს ავიწეროთ;
ვხედავ, ვინ მოჰქრის ესოდენ მარდად?
კვლავ იმ ნილაბში, ის კაბალერო...
მკვდრული სიჩუმე წამს ჩამოვარდა;
თვალი მიაპყრო იმ უცნობს ყველამ,
ერთმანეთისკენ გაქანდნენ ხელად
ის და ჩემი ძმა — მათმა ცხენებმა,
საყვირას ხმათა შემგრძნობლებმა,
ლამის ერთმანეთს აჯახეს შუბლი
პატრონთა ღელვა რომ გადაედოთ;
ზუჩგამსხვრეული უცნობის შუბით
უნაგირს მოსწყდა ჩემი ძმა პედრო.
დაეცა პედრო და ცხელი ქვიშა
მოედანისა სისხლით მოირწყა,
თითქოს საშინელ წუხილის ნიშნად
სისხლის ცრემლებით ტიროდა მიწა.
ხალხიც გაიყო და აკიჟინდა;
ზოგნი ითხოვდნენ მოეკლათ მკვლელი,
ზოგნი იცავდნენ, მკვლელი კი მშვიდად
მოედანს გასცდა თამამად მსვლელი.
სად იმალება, მთაში თუ ბარად,
ვფიქრობ, თვით მარსმა თუ ალიტაცა,
ანდა ქვესკნელმა თუ შეიფარა,
რომ ვერაფერი მიეუზლა ნაცვლად.
ძმაზე მწუხარე და მკვლელისადმი
ზიზლით აღსავეს, გონარეული,

განვშორდი დიარს, მკვლელობის ადგილს...
დღეს ბელფლორში ვარ დარდით სნეული, —
სადაც ჩემს თავთან მარტო დავრჩები,
ჩემი ცრემლებით, ჩემი ტანჯვებით.

ე ნ რ ი კ ე

უჩვეულო რამ მომხდარა, მაგრამ,
თითქოს არც მჭერა ეს მომხდარაიყოს...
თვალს და ხელს შუა სად, როგორ გაჰქრა,
ანდა ის კაცი ვინ უნდა იყოს?

ბამოსვლა მესამე

ბენიტო, ანტონა, გლეხები

ა ნ ტ ო ნ ა

ჩემო ბენიტო, ახლა ჩვენს შორის
შენზე ჭკვიანი აბა ვინ არი?
თან ენაც გიჭრის. აქ სენიორას
უნდა წარუდგე შენ სამძიმარით.

ბ ე ნ ი ტ ო

მე? სენიორას? ოჰ, ნუ მაცინებთ.
რა სამძიმარი? ნუ ხუმრობთ ერთი...
მე მისი დარდი სულ არ მამძიმებს...
ვეტყვი, ეს შენზე ახია-მეთქი...

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

უთხარ, რომ იგი არის დიანა,
ანდა ვენერა, და რომ ძმა მისი,
მსგავსად დიდებულ ფაეტონისა
ცაში აფრინდა ფარხმალანა.

ბ ე ნ ი ტ ო

ამას კი ვეტყვი ხალისიანად.

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი

უთხარ, რომ მისი ძმის მკვლელი არი
ნერონი, მკაცრი სარდნაპალი,
ყოყოჩი, მხეცი და კიდევ მეტიც...

ბ ე ნ ი ტ ო

რალა თქმა უნდა, ყველაფერს ვეტყვი.

ა ნ ტ ო ნ ა

სულ იცოცხლეთ-თქო, სენიორა, სანამ
დროს არ მოიჭამთ ვით მათუსალა.

ბ ე ნ ი ტ ო

ო, ეს ყველაზე კარგია მართლაც

ა ნ ტ ო ნ ა

ისიც უთხარი — სოფელი ჩვენი
მას ახლა ზეიმს ვერ გაუმართავს,

და ვერც მივართვათ რაიმე ძღვენი
მისი ღირსების შესაფერისად...
გვსურს ვანუგეშოთ მწუხარებისას.
თუ აღამიანს დარდი სწვევია,
მისთვის ნადიმიც მოსაწყენია.

ბ ე ნ ი ტ ო

ოხ, გრაფინიავე, ხარ იმისთანა,
კოხტა, პრანჭია, ნაზი ხატება, —
ღონია ვენერა და ღონია ანნა
ჭურჭლის მრეცხავად არ გეკადრება.
კარგად გიქნიათ, ახლა გვაუწყეს
თქვენი ჩამოსვლა, უნარნარესო, —
ბელფორს სწვევიხარ ღღესასწაულზე,
რომ ღღესასწაულს არც კი დაესწრო.
ამ ჩვენს სოფელში აბა ვინ არი,
ამაზე გული რომ არ სტკენია...
მილოცვა არი თუ სამძიმარი,
ორივე ერთგვარად მოსაწყენია.
ისე, ხმაც კი აქვს დასაწუნარი,
თუ უპატიჟოდ მოდის სტუმარი;
მაშ, გრაფინიავე, იცოცხლეთ, ამინ,
შეგერგოთ თქვენი უბედურება.
ღე, გაგიგრძელდეთ სიცოცხლის ჟამი,
ვით მათუსალას, დაუსრულებლად.
რა უნდა მეთქვა? ჰო, სოფელს მართლაც
თავი აღარ აქვს საჩუქრებისა:

ქეფ-ნადიმებს ვერ გაგიმართავთ
თქვენი ღირსების შესაფერისად, —
თუ ადამიანს დარდი სწევია,
მისთვის ნადიმიც მოსაწყენია.

ბამოსვლა მეოთხე

იგინივე, შემოდის ფედრიკო, უსაქურ-
ველო, დაჭრილი

ფ ე დ ე რ ი კ ო

პატივცემულნო მიწის მუშაკნო!
თქვენც, სენიორავ, სულო უმანკოვ!
ამ ეკლებს შორის ვარდივით მდგარო!
ღრუბელთა შორის მზის შესადარო!
დე, შემობრალეთ ვიშით მტირალი,
სისხლით შესვრილი, მგზავრი შორიდან...
თან მქონდა განძი დიდსადირალი,
ფასით ქვეყანას აიწონიდა.
ღიახ... თქვენ მდიდარ სოდაგარს უმზერთ.
მსურდა მეშოვნა მე კიდევ მეტი, —
სავაჭროდ, განთქმულ ღღესასწაულზე
ნეაპოლისკენ რომ წამოვედი.
მაგრამ ბედს კაცი როგორ ენდობა,
როცა ვარსკვლავნი მაღალ ცაშია.
მათზეა ბედი თუ უბედობა, —
კაცის ნაფიქრალს წამსვე წაშლიან.
გზად მივდიოდი, აი იმ მთაზე

თურმე ავაზაკთ ხროვა ბანაკობს, —
უცებ შემიპყრეს, განძს უძვირფასესს
გამომათხოვეს ულაპარაკოდ.

ვიფიქრე, ვსინჯავ, ვიბრძოლებ-მეთქი,
მაგრამ არ ღირდა იქ თავდადება:

(რაა სიმდიდრე, სიცოცხლე ერთი
ყოველ საუნჯეს აღემატება.)

ალარ ვიცავდი თავს გასაჭირში, —
ამის მიზეზი არ იყო შიში,

არამედ იყო ეს სულ სხვა გრძნობა,
ქრისტიანული ღვთისმომშიშობა.

რადგან დაეჭედნენ, სხვა განძეულიც,
ვით სოვდაგარი არის ჩვეული,

მეც მექნებოდა საცმელში სადმე
იღუმალ ადგილს ჩაკერებული,

ტანზე გამხადეს, ყოველი დავთმე,
და ამ კუშტ კლდეებს შეფარებული,

სამი დღე არის ვკვამ მხოლოდ ბალახს,
მაგრამ თავს ჭირი არ დაიმაღავს,

ვძლიე სირცხვილს და გამოგეცხადეთ.
დაე მარგუნოს ბედნიერება

კეთილმოწყალე თქვენმა ხელებმა:

შფოთვათა შემდეგ — მშვიდობა სულის,
წყვდიადის შემდეგ — მზე ამოსული.

მოკვდავს სიკვდილშიც აქვს სასოება,
ტანჯვა სიამედ რომ შეეცვლება.

(შემოდის ელენე)

ე ლ ე ნ ე

რას ვიფიქრებდი სულ წამის წინათ,
ჩემს გულში, ახლა ტანჯვის ბუდეში,
თქვენი წუხილიც კპოვებდა ბინას,
და ჰა, მე ვნახე თითქოს ნუგეში
ამ თქვენს წუხილში, განუკურნელში.
უბედურს სხვისი უბედურება,
ეს, თურმე რარიგ ესალბუნება.
გონს მოდით, გმართებთ ჭირში მხნეობა,
სულის სიმტკიცე და გამძლეობა.
ცვალებადია ქვეყნად ყოველი,
ჰა, მეც დავტირი საბრალობელი
ჩემს უბედობას მარტოობაში, —
კეთილ მსახურად თქვენც ჩემთან დარჩით...
სულის სიმშვიდის მოსაპოვებლად,
ჯობს ხალხისაგან განმარტოება.
მეც ძმაზე ვგლოვობ გულჩათხრობილი:
იყო ვაჟკაცი კეთილშობილი,
მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმული.
განაფრთხობინა გამცემმა სული...
მას ჩემი ქება რად უნდა, როცა,
იგი თვით არის დონ პედრო სფოროცა.

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

ვაი ჩემს თავსა!

ე ლ ე ნ ე

ველარსად ვპოვეთ,
შეუცნობია მკვლელი წყეული!
ვფიქრობ ის იყო სატანა სწორედ,
ისე იბრძოდა ცოფმორეული,
შემდეგ ვერავენ შეასწრო თვალი, —
სად, როგორ გაქრა იმისი კვალი.

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

ჰოი, რა მყუდრო ადგილს ეწვევივარ!..

ე ლ ე ნ ე

აღბათ, განდევნილს ამ ქვეყნისაგან
მას თვით ქვესკნელში ჩაულწევია.

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

მე კი, პირიქით, აღმოვჩნდი სხვაგან. (ელენეს)
თქვენ განუგეშებთ სხვისი ვაება,
მე კი მან ჰმუნვა განმიძლიერა.
უფალი ხედავს, თქვენს მწუხარებას
განვიცდი ისე გულისხმიერად,
ისე ღრმად ჩამწვდა აქ მონასმენი,
რომ ჩემი ტანჯვა უფრო მწვავედება,
მაგრამ მე მზად ვარ მივიღო თქვენი
მოწყალებრივი წინადადება, —
თქვენ შეგეხიზნოთ. კაცს ერთ ღროს მდიდარს,
ვინაც დავკარგე მთელი ქონება,

აწ სამშობლოში მისვლაც არ მინდა,
ნებას არ მაძლევს თავმოწონება;
გემსახურებით, სენიორა, ერთხანს,
აქ მირჩევნია მყუდროდ ცხოვრება.
დე, უცნობთ შორის ღარიბი მერქვას, —
ვიცი არავის ეუცხოება.

ბ ე ნ ი ტ ო

სენიორ უნიფხოვ, როდემდეს გნებავთ
აქ გააგრძელოთ ქიანურივით.
თქვენს ბრწყინვალეებას არ ეკადრება
და არცთუ დიდად ჭკვიანურია,
მართალი გითხრათ, ეგ უზრდელობა,
თქვენ უცებ ბურთი ჩამჩარეთ პირში
და წამიხდინეთ ენამჭრელობა,
მალაპარაკეთ, მეც კაცად ვიშვი...:

ე ლ ე ნ ე (განზე)

ო, რა სიფრთხილით და როგორ
ბრძნულად
მან გამოხატა თავისი გრძნობა;
თავიც უჭირავს მსნედ, ვაჟკაცურად,
მის ხმაში ჭმუნვა არ შეიცნობა.
სწორედ მომხიბლა ასეთი ქცევით.

ბ ე ნ ი ტ ო

უფალო იყოს თქვენი მფარველა,

ანტონა

შენ ვინ მოგმართა?

ბენიტო

არ გავჩუმდები...

ელენე (ფედერიკოს)

ნეტა ვინა ხართ?

ფედერიკო

ვარ ესპანელი.

ელენე

ნუთუ ნამდვილად ესპანელი ხართ?

ბენიტო

მე?

ფედერიკო

ბარსელონის ცის ქვეშ შობილი.

ელენე

აჰ... თქვენ ყველანი მზის შვილები ხართ. (განზე)
რა ტანადია, რა შემკობილი...

ბ ე ნ ი ტ ო

ეს ჩემი ტანი და პიროვნება
თქვენს დიდ წყალობას უსუქებია,
მსურს გემსახუროთ, მომეციოთ ნება;

ა ნ ტ ო ნ ა

ამას შენ როდი გეუბნებიან,
შემშლის...

ე ლ ე ნ ე

თუ მოგწონთ ეს ჩვენი მხარე?

ფ ე დ ე რ ი კ ო

მშვენიერ ადგილს დღეს შევეფარე
და აღარა ვარ თქვენი წყალობით
ისე, ვით წინათ საბრალობელი.

ე ლ ე ნ ე (განზე)

ყოველი ამხელს, შთამომავლობით
არის უთუოდ კეთილშობილი.

ბ ე ნ ი ტ ო

სიმართლეს ამბობთ... დიახ, ცხადია,
წმინდა სისხლს არვის დავესესხები.
მე როგორც მახსოვს, დილაადრიან
ჯერ გამოვყავი ტყუპად ფეხები;

ე ლ ე ნ ე

ღმერთს გეფიცებით, თუ მივწვდი მიზანს,
შურისძიება თუ შევიძელი,
ქალი კი მუდამ შურისგებისას
არის მზაკვარი და ულმობელი,
ო, ესპანელო, გჯეროდეთ მტკიცედ, —
რაც თქვენ დაჰკარგეთ, მთლად დაივიწყებთ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

ო, სენიორავ, ო, ჩემო მხსნელო,
თუ არ მომაკლდა წყალობა თქვენი,
ერთი წუთითაც არ გავიხსენო,
ვანძის დაკარგვა ძნელშესაძენის.

(ელენე მ-დის)

ბედო, კვლავ როგორ საშინელებას
მიმზადებს შენი უწყალო ხელი?
მწყალობს სიცოცხლით ბედნიერებას
ჩემი სიკვდილის მაძიებელი.
ნუთუ ის მხვდება დღეს სიყვარულით,
ვისთვისაც ესდენ ვარ შესაზარი?
ნუთუ ვინც მდევნის, მან სიხარულით
აქ უნდა მომცეს თავშესაფარი?
ნუთუ ვინც მეძებს, როგორც მკვლელს ძმისას,
კეთილისმყოფლად თვით მომეველინა?
ვინც ასე მლანძღავს, — ავისგან მიცავს...
მაშ აქ სჯობია დავიდო ბინა.

მყავდეს სიკვდილი ვით ყარაული;
უფრო სანდოა და უშიშარი, —
სადაც მიგიძღვის დანაშაული,
იქვე მონახო თავშესაფარი.

გამოსვლა მიხუთე

ნეპოლი. სასახლის დარბაზში

მარგარიტა. სერაფინა და მეფე

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მაცალეთ მოვკვდე...

მ ე ფ ე

მისმინე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

კმარა,
მეფევ, მე მინდა სიკვდილი მხოლოდ,
ის დაედება ჩემს წუხილს ზღვარად...

მ ე ფ ე

ვიცი, წუხილი მოგიღებს ბოლოს,
თუ გრძნობას აჰყევ გაოგნებამდე.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მართლაც, ნეტავი ზეცას ნებადეს,
ჩუმი ნალველით დამძიმებული
ჩქარა ამომხდეს ტანჯული სული...

მ ე ფ ე

ყველა დავტირით დაღუპულ სფორცას,
მწვავედ განვიცდით მის სიკვდილს ყველა,
ღმერთსაც ვედრებით აღუვლენთ ლოცვას,
და ჩვენ ვიძიებთ შურს უეჭველად.
მაგრამ არც ერთი არ ვგლოვობთ ასე,
უსაზღვრო არის წუხილი შენი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რა ვქნა, თუ ვწუხვარ უმეტეს სხვაზე,
თუ სხვაზე მძაფრად ეს შევიგრძენი?

მ ე ფ ე

უკვე საქვეყნოდ გავეც ბრძანება
ამ შენს ცრემლთათვის იძიონ შური;
როცა შევიბყრობ, შეუბრალებლად
მაშინვე დავსჯი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განზე).

ოჰ... უბედური...
ჩემო ძვირფასო, ოჰ, ფედერიკო.

მ ე ფ ე
რა სთქვი? ხომ მოგწონს.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა
ჰო, ეგრე იყოს...
დე მონახოს დე სფორცას მკვლელი
და განიგმიროს ის შენი ხელით. (განზე)
დე ღმერთმა ნუ ქნას ეს მომხდარიყოს.

გამოსვლა მემამვესა

ივინივე, კაპიტანი და რობერტო

კ ა პ ი ტ ა ნ ი
თქვენ მოღალატედ აცხადებთ ყველას,
იმ ბოროტმოქმედს ვინც მისცა ბინა,
ან დამალვაში მას წაეშველა...
და ერთმა ვინმემ ჩვენ გვაპოვნინა
აი ეს კაცი — მყავსო ნახული...
იგი არისო მკვლელის მსახური.

მ ე ფ ე
მაშ, დაწვრილებით ყველაფერს მეტყვის...:

რ ო ბ ე რ ტ ო
ჩემი ბატონის ერთგული ყმა ვარ,
არა ვიცი რა მე ამის მეტი,

მ ე ფ ე

მაინც ვინა ხარ?

რ ო ბ ე რ ტ ო

შორ ქვეყნიდან ვარ,
ნეაპოლს, განთქმულ ღღესასწაულზე
მოსული.

მ ე ფ ე

გულწრფელ აღიარებით
მითხარ, ვინ არის ის უღმობელი
მიზეზი ჩემი მგლოვიარების?

რ ო ბ ე რ ტ ო

თუ მას არ ვიცნობ?

მ ე ფ ე

მასთან მსახურად
ხომ შენ იყავი?

რ ო ბ ე რ ტ ო

ეგ მართალია,
მაგრამ არ ვიცი მისი სახელი.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მეფევე, ეშმაკობს, თანაც მხდალია;
ცდილობს დაფაროს ბატონის კვალი.

თუმც ღარიბია შესახედავად,
ამ კაცს ნივთები დიდსაღირალი
აღმოვუჩინეთ. რად უნდა დავა,
რომ თავის ბატონს იცნობს მსახური,
ცხადია, ტყუის.

რ ო ბ ე რ ტ ო

თუ ჰკუა მიჭრის,
სენიორ, სწორედ რომ სასახელო,
მეძებრისა გაქვთ ალლო და ნიჭი.

მ ე ფ ე

აღბათ, სიმართლეს იქ ეტყვი ჯალათს,
რადგან არ გასკრა ლმობიერებამ...
ძვირფას ნივთებში მე ვხედავ ბარათს,
იქნებ კვალს ვაგნებთ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განხე)

საშინელება,
მისი ბარათი, ლამის ავტირდე,
ვთრთი, მსურს გავიგო...

მ ე ფ ე

აბა იქ ნახე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განხე)

ეხ, დავილუპე.

მ ე ფ ე

ჰო, ბარათია.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ჩემს სასიკვდილო განაჩენს ვუსმენ.

მ ე ფ ე (კითხულობს)

„რათა თქვენი უდიდებულესობა ფარულად ჩემი გამომგზავრების გამო არ შეწყუხდეს, ამ ბარათს გიგზავნით რობერტოს ხელით, გაცნობებთ, რომ ჯანმრთელად ვარ და კიდევ იმას, თუ რა მიზეზით აღმოვჩნდი ნეაპოლში, სახელდობრ ჩემი მიზანია მონაწილეობა მივიღო დონ პედრო დე სფორცას მიერ გამოცხადებულ ასპარეზობაში, რომლის ვაჟკაცობამ სურვილი აღმიძრა მასთან ორთაბრძოლისა; როგორც კი ასპარეზობა დამთავრდება, მე კვლავ ფერხთ ჩავუვარდები თქვენს უდიდებულესობას. დაე ზეცამ ინებოს თქვენი სიცოცხლის ჟამგრძელობა.

პრინცი ფედერიკო“.

ო, რად არ ვყვირი ამ საშინელი ამბის გამგები დარდით და რისხვით? მაშ ფედერიკო ყოფილა მკვლელი. ნუთუ არ იყო ის საკმარისი,

რომ გვექცეოდა ყოველთვის მტრულად?
ახლა სწვევია ჩემს სამფლობელოს
და ომს მიმართავს შინ თავხედურად.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ო, ფედერიკო, ო, ულმობელო! (განზე)
გულო, არ გამცე! ო, მანკიერო!
ყოყოჩავ, ფუჭო და კადნიერო!
გიჟო, ზვიადო, უწამებელო!.
(ეს კი სწორია) მოულოდნელად
შენი ხელების ბოროტმა ძალამ
რარიგ მზაკვრულად ცა დამიბნელა,
სული ნახევრად ამომაცალა.
დაე, ღვთის ნებით, როგორიც მინდა,
ისეთი გექნეს შენ დასასრული.

მ ე ფ ე

შენმა წუხილმა, ცრემლებმა წმინდამ,
შვილო, ჩვენ ყველას ვვატკინა გული. (კაპიტანს)
მაშ, კაპიტანო, ახლავე გასწით
ჯარისკაცებით მის საპოვნელად;
კარგად გაჩხრიკეთ, შემუსრეთ, დასწვით
ოდნავ საეჭვო კუნჭული ყველა.

(მეფე და კაპიტანი გადიან)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რობერტო, ვხედავ, მიმზადებ სიკვდილს,
ეგ თავგანწირვა ცუდი მით არი.
დედაქალაქში, საოცრად მიკვირს,
რად დარჩენილხარ? ანდა მითხარი
პრინცის ნაწერი ჩემს დამლუპველად
ნიეთებში რატომ ინახებოდა?
დე, დაგეხია, დაგეწვა მთელად...

რ ო ბ ე რ ტ ო

რას ვიფიქრებდი ეს მოხდებოდა?
ვიმალეობდი და გამცა ვგონებ
სასტუმროს გამგემ თავაზიანმა.
წყეულიმც იყოს, ვინც მოიგონა
სასტუმრო თავის პატრონიანად.
მან სასტუმროში ჩვენ მოგვცა ბინა,
და ხშირად ვყავდი პრინცთან ნახული,
არა, უთუოდ მან დამასმინა,
უთქვამს, რომ მე ვარ პრინცის მსახური.
რაც შეეხება თვით პრინცის წერილს,
გაუგზავნელი შემთხვევით დარჩა,
და ჰა, დაგვატყდა ეს განსაცდელი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ვახმე, აწ ჩემთვის საშველი არ ჩანს.

ბამოსვლა მეუვიდე

იგინივე და კაპიტანი

კ ა პ ი ტ ა ნ ი (რობერტოს)

რადგან თქვენ ცნობა არ მოგვაწოდეთ
იმ საქმის ირგვლივ, მეფემ ინება
სასწრაფოდ თქვენი დაპატიმრება.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ამ მხეცის თავზე ახია სწორედ,
დე, დაისაჯოს მფარველი მკვლელის.
(რობერტოს) დაგიხსნი.

რ ო ბ ე რ ტ ო (ჩემად)

თქვენგან მეც ამას ველი.
(კაპიტანი და რობერტო გადიან)

ს ე რ ა ფ ი ნ ა (მარგარიტას)

მესმოდა თქვენი მოთქმა-გოდება,
თვალზეც გაჩნიათ ცრემლების ცვარი...
გიცქერთ, მიკვირს და გული ღონდება,
მაგრამ მიზეზი ვერ შევიცანი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ჩემს უახლოეს მეგობრად ისევ
მსურს მყავდეს შენი შემბრალე გული.

ს ე რ ა ფ ი ნ ა

ჰოდა მიამბეთ, აი მე გისმენთ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რომ სიყვარულის დაუდგრომლობის
ამბავი გითხრა, თუ შემწევს ღონე,
ჩამოეჯდეთ ბაღში, ყვავილთა შორის,
და რასაც ჩემგან იქ გაიგონებ,
თუ მოგეჩვენოს როგორც ზღაპარი
და ვერ გაიგებ იქიდან მართალს,
არ გაგიკვირდეს შენ არაფერი.
თვითონ არ ვიცი, რა დამემართა...

გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე რ ვ ე

ტ ყ ე შ ი

ანტონა და ბენიტო მღერიან

ა ნ ტ ო ნ ა

ერთი ვაჟი, კოხტა ვაჟი,
მიიჩქარის ცხენით მთაში.
ვაჟს დეზები ამკობს ხისა,
ცხენს უზანგი ლერწამისა.
ოი, რა მხედარია!
მიქრის და უხარია.

ბ ე ნ ი ტ ო

ერთი გოგოც, კობტა გოგო,
ზის ხეზე და მერე როგორ?!
შეუჭვრიტა ბიჭმა მარცხად
და ტალახში ჩაენარცხა.
ოი, რა მხედარია!
ლაფში წამომჯდარია.

ა ნ ტ ო ნ ა

ჩააბამენ მხრებში ბაწრებს,
ო, მძიმეა, ვერც კი დასძრეს...
ტლაპოს ველარ მოაცილეს,
ის კი უცქერს გოგოს წვივებს...
ოი, რა მხედარია!
უცქერს და უხარა.

ბ ე ნ ი ტ ო

კარგი, გეყოფა, ჩემო ანტონა,
მე შენს წმინდა ხმას დიდად ვაფასებ,
ისმოდა უფრო ტკბილ გასაგონად,
ვიდრე შიშხანი მხურვალ ტაფაზე
ერბო-ქონისა, ან ხმა ორლანის,
ო, ისე ნაზად თან წკრიალებდა,
თითქოს ურემი გაუპოხავი
ღერძით აღმართში მიჭრიალებდა. *A.*

ძალიან მაქვებ, ახლა მეც გეტყვი, —
 შენმა სიმღერამ დამასხა რეტი;
 ეგრე უდედო ხბოც კი არ ბლავის,
 ძალლი არ ყმუის, არც დასაკლავი
 ღორი არ ჭყივის შესაბრალისად,
 რომ არ ვახსენოთ გაუპოხავი
 ღერძის ჭრიალი, ხმა ორღანისა.
 რა საჭიროა ასეთი დავა?

ვიდრე აქედან სოფელში ჩავალთ,
 ჩემო ბენიტო! ო, ჩემო კარგო!
 გთხოვ, გულახდილად მელაპარაკო, —
 ის დღე თუ მოვა ადრე თუ გვიან,
 როდესაც გვირგვინს ჩვენ გაგვისკვნიან!
 რომ წარმოვიდგენ იმ დღეს, ოხ, წამსვე
 თითქოს გულს ხვდება საამო ხიწვი,
 და შემაჯრყოლებს, პერანგიც ტანზე
 მელიტინება, რატომ, არ ვიცი.

ბ ე ნ ი ტ ო

ეგ ბრიყვი თავიც ნუ წარმოიდგენს,
 რომ საამოა ცოლ-ქმრის ცხოვრება.
 ჩქარა გაივლის იმ ქორწილის დღეც!
 და მერე ცოტა გეუცხოება,
 როს ჩემებურად მიგბეგვავ მაგრად,
 დიახ, ასეთი დღეც გათენდება...

სიმართლეს ვამბობ... ეს ხდება რადგან,
სულ ერთის ცქერა კაცს უძნელდება...
ყოველი ქმარი გასაჭირშია,
ერთ სახეს უცქერს ღამით და ღლისით,
ლოგინში, გვერდით ცოლის ნიჩვი, *ს აჩვი*
სადილად ზის და, იქვეა ისიც.
ხელს გაიქნევს და ცოლს ცხვირში ხვდება,
ანჩხლი, როკაპი სულ თვალწინ უდგას,
თუ სულის მოთქმა მოესურვება,
კვლავ იგი ნიჩვი შემოასუნთქავს.
და მასთან, ცოლი თუ უშნოც არი,
წარმოიდგინე ასეთი შარი.
არა, ანტონა, საძულველია,
ერთნაირ სახეს უცქირო მარად,
მაგრამ ჩვენს შორის, უეჭველია,
ეს არ მოხდება, ვიცხოვრებთ წყნარად.

ა ნ ტ ო ნ ა

ჯოხით მცემ არა? გაგისკდეს მიწა...
ოხ, არაფრისთვის, ჯობს გამეცალო.

ბ ე ნ ი ტ ო

რატომ მიწყრები? დამშვილდი, გფიცავ, —
მხოლოდ პირველ დღეს მიგბეგვავ, ქალო,
მერე კი აღარ.

ანტონა

რატომ პირველ დღეს?

ბენიტო

თვითონ განსაჯე, ჩემო ანტონა:
ერთხელ ერთ ვინმეს პოლიციელი
მათრახით სცემდა გააფთრებული.
დარბილდებო ჩალათის ხელი, —
მსხვერპლმა ფარულად უჩვენა ფული,
რადგან სასჯელის მოხდა უჭირდა.
ჩალათმა ფული ჯერ გამოართვა
და მერე ისე მაგრად უჭირა,
რომ იმ საბრალოს თვალთ დაუღამდა, —
დიდად გამწარდა და აბუზლუნდა,
პოლიციელმა კი უთხრა ასე:
ვალს ჯეროვანი გადახდა უნდა,
აჰა, მეც გიხდი და დამიფასე
ეს მეგობრული მომსახურება...
მიხვდი, ასეთი უბედურება
იქნებოდაო შემდეგი დარტყმაც...
აბა, დაფიქრდი, ანტონა, მართლაც
ჯობია გცემო იმ პირველ დღესვე,
რომ გადახდილი გქონდეს თავიდან,
შემდეგ რამდენსაც შენ დამაკვნესებ,
რა ოხრობასაც შენგან ავიტან.
მსურს გულისჯავრი ერთად ვიყარო,

მერე სიამით რომ გავიხაროთ.
ო, არ გაცხარდე, დამშვიდდი, კმარა,
შენ გაწყენინოს, სად შესწევს ძალი
იმას, ესოდენ ვინც შეგიყვარა.
დაე დამევესოს ორივე ავალი,
მერე წიპურტიც თუ მოგახვედრო,
თვალის დავსება თუმც შეიძლება,
ცეცხლი ტრფობისა ჩანს საიმედო,
იგი არასდროს არ ჩამიქრება.

ა ნ ტ ო ნ ა

მაშ ხასიათი არ შეგეცვლება?

ბ ე ნ ი ტ ო

არა და არა.

ა ნ ტ ო ნ ა

არც დამივიწყებ?

ბ ე ნ ი ტ ო

არც შეუძლია გულს დავიწყება.

ა ნ ტ ო ნ ა

ანდა ჩემდამი არ აღგექრება...

ბ ე ნ ი ტ ო

რა?

ა ნ ტ ო ნ ა

ზიზლის გრძნობა.

ბ ე ნ ი ტ ო

ჰო, შეიძლება...

და ეს მოხდება ღვთის განაჩენით...

ა ნ ტ ო ნ ა

რატომ?

ბ ე ნ ი ტ ო

მიტომ რომ იქნები ჩემი.

ა ნ ტ ო ნ ა

თუ შემიძლება ამ სახის გამო,
მე ხომ ქალი ვარ და ვიდრე უქალობ,
მე შემიძლია შენს სასიამოდ
სახე ყოველდღე გამოვიცვალო. (მიდი)

ბ ე ნ ი ტ ო (თავისთვის)

შენ კი შეიძლება, მეც მახსოვს ერთი...
დილით დგებოდა ვით ია ნაზი,

შუადღით იყო შროშანა თეთრი,
და საღამოთი მიხაკის მსგავსი.
ეს იქ რა ბრწყინავს? მივალ და ვნახავ,
თითქოს ოქროა, თუ ვერცხლი წმინდა...
რა ჭკვიანი ვარ, რომ აქ ვარ ახლა...
აღბათ, მიწაში ვილაცა მდიდარს
დაუფლავს განძი — მაშ ვსინჯავ ხელით...
იქნებ ამოჰყვეს, მაგრამ ეს რა ჩანს...
ჰო, უნდა იყოს ოქროს საცმელი,
რომ ეძახიან აბჯარს თუ ჩაჩქანს.
არა, ეს უცხო არ არის ჩემთვის,
ხშირად მინახავს, სწორი თქვას კაცმა,
მე არც იმდენად რეგვენი მეთქმის,
ვერ მოვახერხო ამისი ჩაცმა.

(უკუღმა იცეამს)

ოქრო და ვერცხლი, უეჭველია,
მიწაში არის აურაცხელი,
მაგრამ ის უფრო საკვირველია,
მიწამ დაბადოს მზა ტანსაცმელი.
რა აჯობებდა, მიწიდან ასე
ამოდრიოდეს ახალთახალი
ტანისამოსი? მთელ ქვეყანაზე
თერძის სინსილას ველარ ნახავდით.
ჩემი ანტონა მთლად გადირევა
ამ მოულოდნელ საკვირველებით...
იტყვის, რომ წმინდა გიორგის ვგევარ,
ვეშაპს რომ ჰგმირავს შუბის ძგერებით.

მართლაც იქნება ერთი სეირი,
მოეჩვენებათ როგორც ზღაპარი,
ოღონდ მოვირგო ჯერ წესიერად
ტყავის შარვალი, ეს ყურსაფარი
თუ რაღაც სხვაა, სწორედ არ მესმის...
აქვე მწყემსები ეხეტებიან,
მეც მათთან წავალ, მომრთავენ მწყემსნი.
ისინი ამის ოსტატებია.

გამოსვლა მეთხრე

კაპიტანი და ჯარისკაცები

კ ა პ ი ტ ა ნ ი

გზა დახლართული აქ ბევრი არის,
მთას თითქოს მოსავეს იღუმალება.
რაღა თქმა უნდა, რომ საოცარი
იგი დევკაცი აქ იმალება.
მას აქ უვლია, მოწმობს ყოველი,
ნეტავ უფალმა ჩვენ მოგვცეს ძალა, —
მეფეს მიგვაროთ დღეს შეპყრობილი,
ვინც ლხინი ჭირად მას შეუცვალა,
გლოვად უქცია დღესასწაული,
ცრემლად — სიმღერა და სიხარული.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

თუკი აქ არის, დიდებულა,
ხელში ჩავიგდებთ მას იძულებით,

ყოველი მხრიდან გზა შეკრულია
იარაღასხმულ ყარაულებით.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

თვალში გეცემათ მისი აბჯარი,
ვიცნობ, დანახვა თუკი გვეღირსა.

მ ე ო რ ე ჯ ა რ ი ს კ ა ც ი
აი იქ კლდესთან ცხენია მკვდარი.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მისი ცხენია, მსგავსად ელვისა
ვრცელ მოედანზე რომ მიმოქროდა,
სწორედ ნიშნებიც ასეთი ჰქონდა.
აქ ყველაფერი არის აშკარა...
იქ ცხენი გღია, მაშასადამე,
მხედრის სიფიცხის მსხვერპლი გამხდარა,
მისი იპატრონიც აქვეა სადმე.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

სხვა ცხენს ნახავდა და შეჯდებოდა,
ღიას, ამ მთებში ბევრია ცხენი.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ამისი თავი სად ექნებოდა,
იგი უთუოდ დავლავა ჩვენი.

და არცთუ პოვნა იქნება ძნელი,
არ მოერიდოთ ბუჩქებს და ქაცვებს; —
უნდა გავჩხრიკოთ ყოველი ხვრელი,
სადაც მზის სხივიც ვერასდროს აღწევს.
კარგად უცქირეთ, და როცა მეფეს
იმ სასტიკ დეკაკს მივუთრევთ ყურით,
იმის ესოდენ დამალონებელს,
დაგიფასდებათ თქვენც სამსახური.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

ოხ, უბედური დონ პედრო სწორედ
ხელმწიფეს ჩვენსას დისწულად ხვდება.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

და მასთან იყო მხნე, თავმომწონე,
როგორც დიდებულ პრინცს ეკადრება.
ო, რა მამაცი და ჭკუით სავსე,
ტყუილად არ წუხს ქვეყანა მასზე...
ვინც უნდა იყოს ის მკვლელი პრინცის,
აუცილებლად მოსჭრიან თავსა, —
უხეშ, უტიფარ საქციელისთვის
იმლამინდელი ნადიმის უამსა,
და კიდევ მისთვის, რომ შუურის გრძნობა
გულს გაჯდომოდა ისე მწველადა,
რომ მხიარული ასპარეზობა
გადააქცია წამს ბრძოლის ველად.

იგინივე და ბენიტო, სასაცილოდ ჩაცმული

ბ ე ნ ი ტ ო

უხ, რა ვაჟკაცი ვყოფილვარ თურმე...
დიახ, ის ბიჭი ეს ბიჭი გახლავთ,
ახლა უბრალოდ არც გავიხუმრებ...
თავშესაქცევად კეთილმა ხალხმა
ასე ჩამაცვა, მაგრამ ეს რას ჰგავს?
ლამის სიმწრისგან ამომხდეს სული, —
ველარ ვმოდრობ, ოხ, რარიგ მთანგავს
აბჯარი ტანზე შემოსალტული.
როცა მნახავენ, ჰე, რას იტყვიან
სოფლის ბიჭები და გოგონები?
ანტონა ისე მიამიტია,
რომ უსათუოდ სხვა ვეგონები.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

თუ მაქვს უფლება თვალს დავეუჯერო,
თავით ფეხამდე რომ შეჭურვილა,
იმ კლდის მახლობლად ჩანს კაბალერო...

კ ა პ ი ტ ა ნ ი.

ნიშნებით ვიცნობ, ის არის, ფრთხილად.
სწორედ მისია ეს საჭურველი...

მეორე ჯარისკაცი

რა ექნათ, თუ უცებ წინ შეგვეყარა
და გამოიღო საომრად ხელი?..
ვერ მოერევა მთელი ქვეყანა.

კაპიტანი

ძნელი მგზავრობით დაღლილი მოჩანს,
თანაც აღარ ჰყავს ფეხმარდი ცხენი...
უთუოდ უნდა დაემორჩილოს
იარაღს ჩვენსას... თქვენ ორივენი
უკან მოუვლით მას შესაპყრობად,
მე კი დამბაჩას გულზე დავაბჯენ...
აღარ ექნება აქ საძრაობა.

პირველი ჯარისკაცი

უხმოდ ვიაროთ.

მეორე ჯარისკაცი

რა გადაგვარჩენს...

თუ თვალი მოგვკრა, გავასწრებთ განა?
დავილუპებით ამოდ, უქმად...
რა ვაუკაცია! მას ჩვენისთანა
ორი ათასიც არ ეყოს ლუკმად.

პირველი ჯარისკაცი

ჩუმად!

ბ ე ნ ი ტ ო

ამ საცმელს ვერ შეველევი,
იქნებ ქურთუკიც კი გამოვიდეს.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი
უკვე შევიპყარ.... მომეშველენით...

(ხელები გაუყრეს)

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ახლავ ციხისკენ, უსიტყვოდ, ვიდრე
არ ამოგხდება სასწრაფოდ სული,
თქვენსავე სისხლში ამოვლებული.

ბ ე ნ ი ტ ო

ო, ბატონებო, თქვენ გეხვეწებით,
რა დაგიშავეთ? ჩაეიცვი მხოლოდ...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ტყუილუბრალოდ .ნურას ეცდებით,
ჩვენი რჩევაა არ გაიბრძოლოთ.
მკვდარსა თუ ცოცხალს წარგადგენთ თავად
მეფესთან...

მ ე ო რ ე ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

უკან არ მოიხედოთ!

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი
უჰ, ძლივს დაეძარი... კაცი თუ მთაა!

ბ ე ნ ი ტ ო
სად მიმატრევენ... ო, დიდო ღმერთო!
(პირველი მოქმედების დასასრული).

მოქმედება მეორე

ბამოსვლა პირველი

სასახლის ბალი

შემოდინ მარგარიტა და სერაფინა

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

აქ დავსხდეთ, სადაც ხეების ჩერო
და გაზაფხულის ყვავილნარია.
ამათ უნახავთ ის კაბალერო,
ტრფობა-ალერსით ვინც გადამრია...
მარტოდენ მათთვის თუ გამინდვია
ჩემი წუხილი და სიხარული, —
და მათ შორისვე მოგიტხრო მინდა
ეს ხეაშიადი, დღემდე ფარული,
ჩემი წამების — იღუმალეზა.
ერთხელ სასახლის ერთმა მსახურმა
მიტხრა, თუ ნებავეს თქვენს ბრწყინვალეზას
ო, ისეთი რამ, რომ არ ნახულა
ქვეყნად ისეთი ჯერ სილამაზე,
ვერ წარმოიდგენს სიხარბე გულის,
ვერც სიყვარული რამ სამკაულის,

ის მაღალა თვით ოცნებაზე,
იქნებ ნახოთო თავშესაქცევად
და მადლობელი იქნებით მუდამ,
ის მოიტანა აქ უცხოელმა,
ვინმე დიდებულს მიჰყიდოს უნდა.
უფლება მივეც, დავნებდი სურვილს
და ჯავაირჩი შემომიყვანეს, —
ბევრი მიჩვენა მან სამკაული
და იმათ შორის შუქმოკამკამე
ერთი აღმასი, წმინდა სრულებით,
დიდხანს ვუცქერდი განცვიფრებული, —
აღმასში იყო სასწაულებრივ
ჩემი სურათი მოთავსებული.
და შევეკითხე, ძვირფას აღმასში
რად არის-მეთქი სურათი ჩემი?
უცებ გაფითრდა ჭაბუკი მაშინ
და მომახსენა პატივისცემით:
პრინც ფედერიკოს ნაბრძანებია, —
აქ თქვენი სახე გამომესახა...
უნდოდა გულთან ეტარებია,
მეც გამოვსახე; მაგრამ რომ ნახა,
თქვა: „ანგელოზო, შობილო ქალად,
ვაი რომ გვთიშავს ჩვენ ბედი ავი,
ჩვენშიც აღუძრავს განგების ძალას
გრძნობა მტრობისა და სამღურავის,
რაც მამებს ჩვენსას დაუფლებია...
სწორედ ამიტომ, შეუსადარო,
შენდამი ტრფობის მომრიდებია,

და ეს სურათიც ველარ ვატარო...
მაგრამ სიცოცხლის დასასრულამდე
ვერც სხვას მივცეო მისი სურათი,
ვინც ეგზომ დიდად შემეყვარებია.
და მეც აღვუთქვი, თქვენ გადმოგცემლით
ამ სურათიან აღმასს, და ისიც
განმშორდა უხმოდ, აღესილი სევდით...
დამსაჯეთ ასეთ თავხედობისთვის...
ეს რომ თქვა, ისევ გავხედე აღმასს,
ჩემი სურათი შიგ ალარ იყო; —
აღმასში, მარჯვედ რომ შემიცვალა,
ახლა ვხედავდი პრინც ფედერიკოს...
და მაშინ მივხედი, რომ ჯავაირჩად
თვით ფედერიკო გამომეცხადა...
და მეგობრობაც აქ წარმოიშვა,
დავიახლოვე და შემეყვარდა;
დაე გაამბონ ამ ყვაილებმა,
რამდენჯერ მთვარემ თავს დაგვანათა...
ხშირად უნახავთ მათ აცრემლება
ფედერიკოსი ჩემს აივანთან.
შენც კარგად იცი, რაც შემდეგ იყო...
არაფერია... ოღონდ მამაჩემს
არ ჩაუვარდეს ხელთ ფედერიკო,
თორემ მის რისხვას რა გადაარჩენს...
მტრად მოკიდებულ მის მამისადმი
ზიზლით აღესილსა სურს შურისგება...
ჯავრს შვილზე იყრის... მწარეა დარდი,
რომ იგი ჩემი ალარ იქნება,

მაგრამ ამაზე უფრო მწარეა,
იმის სიკვდილზე თუნდ გაფიქრებაც.
მზე მხოლოდ მისთვის თუ მიხარია,
მოკვდება იგი, მზეც ჩამიქრება.

ს ე რ ა ფ ი ნ ა

რომ ყველაფერი მიაბზეთ სწორად,
მადლობით ვიღებ ამ მოწყალებას.
ჩემს სიყვარულში თქვენც, სენიორა,
ეჭვი ნურასდროს შეგეპარებათ.
ამ საიდუმლოს, ასე ფარულად,
მიკვირს, ამდენ ხანს რად ინახავდით?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თუ ქალს ნამდვილი სწევას სიყვარული,
შესძლებს დაფაროს მან ხეაშიადი.

ს ე რ ა ფ ი ნ ა

სენიორა, მეფე, ჩანს, მოდის აქეთ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მაშ ტყვე რობერტოს დავეხმარები...
დახსნას დავპირდი, — მეც ვიეშმაკებ,
იქნებ გაუღონ ციხის კარები.

ბამოსვლა ხეობი

იგინივე, მეფე და მსახური

მ ე ფ ე

შვილო, როგორ გაქვს მწუხარე გულა?
იქნებ სიხარულს კვლავ მისცეს ბინა...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

დარდს ვერ გავეჭეც, ვარ წამებულა.
თუ რა დღეში ვარ, თქვას სერაფინამ.

მ ე ფ ე

მომწონს, რომ ესდენ ჭკვიანი, სანდო
გყავს მეგობარი, თან მშვენიერაც...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

წუხილმა მომკლა.

ს ე რ ა ფ ი ნ ა

სიმართლეს ამბობს...

მ ე ფ ე

ჩანს, შენთვის უთქვამს მას ყველაფერი.

ს ე რ ა ფ ი ნ ა

არა, ზოგი რამ მიაგებო მხოლოდ,
და, როგორც ვფიქრობ, არ არის ძნელი
მას მწუხარება გაუიოლოთ.

მ ე ფ ე

როგორ?

ს ე რ ა ფ ი ნ ა

შევიპყროთ დონ პედროს მკვლელი.

მ ე ფ ე

თუ, მარგარიტავ, მხოლოდ ეს კმარა,
გამხნევედი, ეჭვიც არ მეპარება,
რომ შეიპყრობენ მას ძლიერ ჩქარა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ერთი უბრალო საშუალება
მაქვს მე ამისთვის გამონახული:
აქ საჭიროა თქვენი ბრძანება, —
დღესვე გაუშვან მისი მსახური.
რა დააშავა მან იმის გარდა,
რომ ვინმე ბატონს მსახურად ჰყავდა!

შემდეგ შორიდან ადევნონ თვალი,
და თუ ბატონის სამყოფი იცის,
მასთან მივა და ამ ხერხის ძალით
ჩაგივარდებათ თქვენ ხელში პრინცი.

მ ე ფ ე

აი, ეგ მართლაც გონივრულია.
გასწით, მსახურის გაშვებას ვბრძანებ!
დაე იაროს, როგორც უვლია...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

დაუყოვნებლივ აქ მოიყვანეთ.

გამოსვლა მესამე

იგინივე და კაპიტანი

კ ა პ ი ტ ა ნ ი

თქვენს ფერხთანა ვარ, მეფეე მაღალო.

მ ე ფ ე

გთხოვთ, კაპიტანო, რას იტყვით ახალს?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ნატურის ახდენა უნდა გახაროთ.

მ ე ფ ე

როგორ...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ყველაფერს გიამბობთ ახლავ:
ჯარისკაცებით თქვენი ამალის
წაველ, მეპოვნა დონ პედროს მკვლელი;
ბოლოს მაცნობეს, ძნელმისავეალი
მთის ქედზე აქესო მას საფარველი...
ქანცმილეულსა და ფიქრში წასულს,
შევხვდით ნახევრად იარაღსხმულს...
გარდაჩეხოდა უფსკრულში ცხენი...
იდგა, მოწყენით იცქირებოდა,
და რა შენიშნა მან მისვლა ჩვენი,
კვლავ დაუბრუნდა ძალა, მხნეობა,
ისევ აღეგზნო ჩვეული ცეცხლით...
და, ალბათ, ყველას გაგვათავებდა,
მაგრამ საშველი რომ არ მივეციით,
იგი იარაღს ჩემსას დანებდა.
სახელს გვიმალავს, ეს დაიჟინა, —
მე ვარო ერთი გლეხი საწყალი,
თავს ისე იჭერს, თითქოს გიჟია,
ხან მართლაც ბოდავს ჩვენზე გამწყრალი.

მ ე ფ ე

დაე სიგიჟე მან მოიგონოს,
დაე სისწორით არ თქვას სახელი...

ვიცი, ეგ პრინცი ფედეროკოა,
უკვე ხელთა მყავს დე სფორცას მკვლელი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განზე)

ვახმე! — მოვიდა სიკვდილის წამიც...
ვახმე! თავდება სიცოცხლე ჩემი...
მეხი დამეცა, ო, აღარ ძალმიძს...
არა, ამ ამბავს ვერ გადვურჩები.
დე, ამ ციხიდან ამოდით მაღლა,
თქვენ, ცეცხლოვანო ოხვრავ და კვნესავ,
ასე უწყალოდ ჩემს სულს რომ დადავთ...
თქვენც, თვალნო, ღვრიდეთ მღუღარე ცრემლსა,
რომ არ დაახრჩონ ცრემლებმა გული...
ვახმე! უფალმა მთლად გამიმეტა...

მ ე ფ ე

შვილო, რატომ ხარ შეშფოთებული?
ვერ გამიგია, რა მოვდის ნეტავ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე მიინავს ცეცხლი და ყინვა მდალავს,
ტკივილს საშინელს ვით შევებრძოლო...
ვახმე, დაგეძებ, სიკვდილო, სად ხარ?
დე, ჩემს სიცოცხლეს მოუღე ბოლო... (გაღის)

მ ე ფ ე

თქვი, სერაფინა, რა დაემართა,
რისი ბრალია ეს გაშმაგება?
ვიცი, გეტყოდა.

ს ე რ ა ფ ი ნ ა

თუმცა მე მმართველს
არ გავამჟღავნო იღუმალეზა,
მის სიცოცხლეზე ფიქრებმა მძლიეს: —
აქ მის წუხილში მიუძღვის ბრალი
თვით ფედერიკოს, პრინცს სიცილიელს,
შეპყრობილს თქვენი ბრძანების ძალით.
სიყვარულია მოკლედ მიზეზი.
მათ ერთმანეთი ფარულად უყვართ... *
შიშობს, მას დასჯით უსასტიკესად,
ცხადია, ამან რომ შეაწუხა,
აი სიმართლე...

მ ე ფ ე

ჰოი, რას ვისმენ
თუ საღი აზრის მონაა ბრძენი,
როგორც აჯობებს, მოვიქცეთ ისე —
ხამს შევარბილო მეც განაჩენი.

გამოსვლა მეოთხე

ივინივე და რობერტო

რ ო ბ ე რ ტ ო (მეფეს)

ფეხზე ამბორის მიეცით ნება,
ვინც ემსახურა კეთილად ბატონს,

და ამით რამე შეურაცხება
არც უფიქრია თქვენს საღალატოდ.
მე სასჯელს ველო.

მ ე ფ ე

პირიქით, რატომ...

მსურს მოგანიჭოთ თავისუფლება,
ვინც ემსახურა კეთილად ბატონს,
ღირსი ჯილდოსი რად დაისჯება,
როცა თვით ზეცა სინათლის მფენი
მალლიდან ზრუნავს ჩემს სასიკეთოდ?
უკვე მოვნახეთ, ბატონი შენი
შეპყრობილია...

რ ო ბ ე რ ტ ო (თავისთვის)

რა მესმის, ღმერთო!

ნუთუ ეს მოხდა... შორს, სადღაც სოფლად
ჩამოხდა პრინცი... ვინ შეიცნობდა?

ბამოსკლა მახუთე

იგინივე, კაპიტანი, ჯარისკაცები და ბენიტო
საქურველში

•

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მეფეო, პრინცი თქვენს წინაშეა,
თვით ფედერიკო სიცილიელი...

ბ ე ნ ი ტ ო

მომაჯადოვეს თუ სიზმარში ვარ?
მე, მე და პრინცი? საქმეა ბნელი.
რა უნდათ ჩემგან?

მ ე ფ ე (განზე)

ჯობს დაფიქრება,
ორ გრძნობას შორის ყოყმანებს გული,
შურისგებისკენ მხრის მძულვარება
და სიკეთისკენ კი სიყვარული. (ბენიტოს)
თქვენი სიცოცხლე ჩემს ხელში არის.
თქვენს სიდიადეს იქნება სჯერა,
ჩემდამი თქვენი და თქვენი მამის
მტრობისა გამო მე განუსჯელად
ჯაერს თქვენზე ვიყრი, ეხ, უსათუოდ
თქვენ ამას ფიქრობთ, მაგრამ აქ ცდებით...
ღიახ, დე ალლომ არ მოგატყუოთ,
მე სხვა გული მაქვს.

ბ ე ნ ი ტ ო

მე მეუბნებით?
რა დაგიშავეთ, საიდან, როგორ?..
ნუთუ ამიტომ ვარ დასასჯელი,
ტყეში წავაწყდი ისე, ვით სოკოს,
და მეც ჩავიცვი ეს ტანსაცმელი.

მ ე ფ ე

გიჟად ან გლახად გვიჩვენოს თავი,
თქვენს სიღიადეს სულ არ სჭირდება;
რაგინდ ღრუბელი ფარავდეს შავი,
მზე გაარღვევს და გამობრწყინდება.
ნუ მიცქერს თქვენი უმადლესობა
ეჭვით, მიენდეთ ბედსა, რომელიც
ცვალებადია, მკაცრი ესოდენ,
თანაც მარადის დაუდგრომელი...

ბ ე ნ ი ტ ო

რას ლაპარაკობთ, სწორედ არ მესმის,
რის ცვალებადი, რა ულმობელი...
ჩამაცვით ჩემი ტანისამოსი
და თქვენ წაიღეთ ეს საჭურველი,
თუ ამას ეძებთ, — დე თქვენი იყოს,
მე კი აქედან გამიშვით ჩქარა, —
არავითარი პრინც ბობორიკო,
სენსილიელი მე არ ვარ, არა...

რ ო ბ ე რ ტ ო (განზე)

აქ შეცდომია... აი ეს მომწონს,
ტყუილი მართალს დაემსგავსება...
ამ გლახს პრინციობას მეც დავუშოვებ,
ნამდვილი პრინცი კი გადარჩება. (ბენიტოს)

ფეხზე კოცნისა მომეცით ნება.
თუმც ჩვენს შეხვედრას მეფე ესწრება,
მაინც ვერ დავთმო ბედნიერება
წმინდა ამბორით თქვენი შეხების.

(ბენიტოს ფეხებს დაუკოცნის)

ბ ე ნ ი ტ ო

რამ შეგაყვარათ ჩემი ფეხები,
არა, ვერ ვიტან ფეხებზე ამბორს...

რ ო ბ ე რ ტ ო

ნუ წყრება თქვენი უმაღლესობა,
ეგ თვალთმაქცობა არაფერს ამბობს.

პ ი რ ვ ე ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი
ძნელი არ არის ღიდკაცის ცნობა.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

გიცნეს, ასეა ეს უეჭველად,
სენიორ! პრინცო სიცილიელო!

ბ ე ნ ი ტ ო

მაშ მე პრინცი ვარ?

რ ო ბ ე რ ტ ო

ხო, გიცნო ყველამ...

ბ ე ნ ი ტ ო

სტყუით ყველანი, სასაცილოა...
ცეცილიაო? პირველად მესმის,
თუმც სოფლად ჰქვია ერთს ცეცილია,
ქალიშვილია უფროსი მწყემსის,
აი სიმართლე.

რ ო ბ ე რ ტ ო

მის წინ გლახობას,
ვინც თქვენ ამდენ ხანს გემსახურებათ,
რატომ იგონებთ, ახლა გეყოფათ...

ბ ე ნ ი ტ ო

ილაპარაკეთ, რამდენიც გნებავთ
ან როგორც გინდათ... მე კი სხვას ვფიქრობ...
შენ, ქაჯი ხარ თუ ადამიანი?

რ ო ბ ე რ ტ ო

მეფევ, არ იცნობთ თქვენ ფედერიკოს,
თუმც იგი არის დიდად ჰკვიანი,
მას ერთი სენი სჭირს, სამწუხაროდ,
რაც ერთხელ დაცდა, აღარ მოიშლის.
ჯიუტი გახლავთ.

მ ე ფ ე

გთხოვთ წაიყვანოთ
თვით ელენესთან ბელფლორის კომკში.
დაე - უთხარით მას უწინარეს,
ციხეში უხვად და უანგაროდ,
როგორც შეკვდერის პრინცსა ბრწყინვალეს,
ასევე, აჭამონ და მოუარონ.
მიკვირს, დღეს მტერთან ვარ ისე წრდელი,
როგორც სიძესთან... მახლობლად ვიგრძენ.

რ ო ბ ე რ ტ ო (თავი'თვი)

არაფერაა აქ საკვირველი,
ეს სულ ერთია, მტერი თუ სიძე.

მ ე ფ ე

პრინცთან რობერტოც მსახურად დარჩეს,
მასი ყურება პრინცს ეამება,
თავსაც გაირთობს ტკბილ საუბარში,
ელენეს ეტყვიით, რომ ევალება
პრინცს გაუფრთხილდეს, სამაგიეროდ,
ელოდეს ჩემგან დიდ მოწყალებას. (განჯე)
ჰოი, ქალებო, ო, მანკიერნო...
რარიგ დიადო გეგმა და ზრახვა
თქვენი ჟინისგან არ დაღუპულა...

კ ა პ ი ტ ა ნ ი (ბენიტოს)

აბა, სენიორ, გავსწიოთ ახლა...
იქ მოასვენებთ დღეს დიდებულად.

ბ ე ნ ი ტ ო

კარგი. (თავისთვის) რამდენი სულელი ვნახე...
სმა-ჭამის საქმე, ჩანს, მოეწყობა.

რო ბ ე რ ტ ო

თქვენი რობერტო თქვენს სამსახურად
მზად არის, თქვენო უმაღლესობავ.

ბ ე ნ ი ტ ო

იქნებ შენა ხარ თვით ქაჯი-რობერტ!
არა, ეს არის მხოლოდ ზმანება,
მაგრამ ყველანი თუ პრინცად მცნობენ,
ექვიც არავის არ ეპარება?
ყველასგან პრინცი თუ დამერქმევა,
რალა თქმა უნდა, რომ პრინცი მე ვარ;
ან მე ფხიზელი არ უნდა ვიყო,
ან გააგიჟა ესენი ღვინომ.
დაე ქვეყანას პრინც ბომბორიკოდ —
ერთხელ, ცოტა ხნით მეც მოვევლანო.

ბამოსავლა მამაკნა

ტყეში

ანტონა, გლეხები

ან ტ ო ნ ა

უნუტეშო ვარ, ოხ, ბელიარდო...
მაცალეთ, მოთქმით ვიტარო ბარემ.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

უნუგემო ხარ? დარდობ და დარდობ...

ა ნ ტ ო ნ ა

აწ ვერასოდეს ვერ გავიხარებ...

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი

თავს იკლავ, არა? ეს როდი ვარგა.

ა ნ ტ ო ნ ა

ნეტავ მისი ხმა კვლავ გამაგონა;
თვით იმ მუხაზეც კი უფრო მაგრად
შენ მიყვარხარო, ჩემო ანტონა.
ოხ, ასე რისთვის დაიგვიანა.

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი

ამას ნუ მკითხავ, ის, ალბათ, მხეცმა
შეახრამუნა თავფეხიანა.

ა ნ ტ ო ნ ა

მეც ავრე ვფიქრობ, ეგა მაქვს ცეცხლად,
ალბათ, ჩაყლაპა თვით მაიმანხმა,

გოხჯა, კაპასმა ის გაბრაზებით,
ჰო, მაიმახის კუჭშია ახლა,
რადგან უყვარდა მას კაპასები.
იმას სატანაც ვერ იქმს ათასი,
რასაც ჩაიდენს ერთი კაპასი.

(ყველანი მიდიან)

გამოსვლა მეზვიდე

იმავე ტყეში შემოდინ ელენე და ფედერიკო

ფ ე დ ე რ ი კ ო

ვარ მოხიბლული თქვენი სიკეთით,
წყალობას თქვენსას რით ვუპასუხო?

ე ლ ე ნ ე

დაიმსახურეთ თქვენ უფრო მეტიც...

ფ ე დ ე რ ი კ ო

ღირსი არა ვარ რომ ამბორვუყო
მიწას, რომელზეც თქვენ გაიარეთ.
რა გავაკეთე ასეთი ნეტავ,
ესოდენ ზრუნვით რომ დამავალეთ?
ჩანს, თვითონ ბედმა არ გამიმეტა,
მან მიწინამძღვრა ცხოვრების გზაზე,
და მომიყვანა ამ წალკოტამდე.
რა ნეტარი ვარ, უფალო, ასეთ
კეთილ ვარსკვლავზე რომ დავიბადე...

ჩემი გრძნობები მან უკვე იცის
 და გამოთქმებშიც ნაკლებად ფრთხილობს;
 ვიღრე თავის გულს არ გადამიხსნის,
 იყუჩე გულო, არ გამამხილო. (ფედერკოს)
 როცა თქვენ გისმენთ, ვგრძნობ

ისეთ სიტბოს,
 მადლს მიხდით ისე უმხურვალესად,
 ოხ, ესპანელო, მგონია, თითქოს
 ფეხი დაადგით თვით მაღალ მზესა.
 მე კი უბრალოდ, დაგნიშნეთ მხოლოდ
ციხის უფროსად, და ეს რომელი,
 რა წყალობაა ბოლოს და ბოლოს,
 რომ თქვათ ამდენი სამადლობელი?

ფ ე დ ე რ ი კ ო

უკვე არ ვიცი, აქ როგორ გითხრათ,
 ვექვობ, ცხადია თუ მეზმანება:
 მადლობის თქმისთვის ყოველთვის მკიცხავთ,
 ეს მიგაჩნიათ უმადურებად.
 უფალმა უწყის, მთლად დავიბენი,
 და აი ახლა, მე, ვისაც მმართვეს
 განუზომელი წყალობა თქვენი,
 ჩემი მადლობა ვერ გამოვხატე...
 გწიშობ მით თავი არ მოგაბეზროთ,
 და ეს ცხადია, არც უმიზეზოდ...
 იქნებ იმიტომ, რომ ცოდვიანი

ეს დედამაწა თოქმის სრულდა,
დღეს გაიძვერა, გულღვარძლანა
და ბილწი ხალხით გავსებულა...
და თუ ვინმეა გამონაკლასა,
ოდნავ სინდისი რომ შერჩენა,
თავს მოგაბეზრებს მოქცევა მასი,
პატროსნებაჲ მოსაწყენია.

გთხოვთ უმადურებს ნუ მიმაკუთვნებთ,
თქვენი ყოველ სოკეთე მახსოვს,
ო, ისე მწყალობთ და მასათუთებთ,
არ შემოძლათ არ დაგიფასოთ.

ე ლ ე ნ ე

არ მინდა ჩემთან ლაპარაკობდეთ
თქვენ ამ კილოზე...

ფ ე დ ე რ ი კ ო

მაშ როგორ გნებავთ?

ე ლ ე ნ ე

მინდა ერთგვარად თქვენ ეპყრობოდეთ
როგორც ჩემს კეთილ განწყობილებას,
აგრეთვე ცუდსაც... იმას, რაც მომწონს
ანდა არ მომწონს, აი, ამ დღიდან
არა მსურს, მაღლი რომ დამილოცოთ,
მაგრამ ყოველთვის, ოხ, როგორ მინდა, —
მოვალეობა გახსოვდეთ თქვენი...

ფ ე დ ე რ ი კ ო

აქ არაფერი არ გამეგება...
უფალმა უწყის, მთლად დავიბენი.

ე ლ ე ნ ე

ოხ, აღარ ვიცი რა მემართება...

გამოსვლა მირვე

იგინივე, შემოდის კაპიტანი

კ ა პ ი ტ ა ნ ი

გეამბორებით ფერხთ, სენიორა.

ე ლ ე ნ ე

გთხოვთ, კაპიტანო, თქვენს სიტყვას ველი.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ნატვრა აგიხდათ, დადგინდა სწორედ,
თუ ვინ ყოფილა დონ პედროს მკვლელი.

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

ნუთუ მე მიცნეს, რა მეშველება?

ე ლ ე ნ ე

მერე ვინ არის? ტკივილი მწველი
კვლავ განმიახლდა... საშინელება...•

თქვით, ვინ აღმოჩნდა ის უღმობელო,
ის ბარბაროსი და მუხანათი...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

თვით ფედერიკო სიცილიელი.

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

მიცნეს, ეს არის დღესათვის ცხადი...:

კ ა პ ი ტ ა ნ ი

სიმართლე მუდამ თავს იჩენს ბოლოს.

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

რა ვქნა, გავიქცე თუ შევებრძოლო?

კ ა პ ი ტ ა ნ ი (ელენეს)

ციხის უფროსად ვინა გყავთ, თქვენო
უმაღლესობავ?

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

გადაწყდა ბედი...

კ ა პ ი ტ ა ნ ი (ელენეს)

ვის ჩააბარეთ თქვენ ციხის ბჭენი...:

ფ ე დ ე რ ი კ ო

მე, მე ვარ, ვისაც თქვენ დაექებდით...
რადგან თქვენ იცით ჩემი სახელი,
ამ სახელისთვის პასუხსაც ვაგებ.
რა გინდათ?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

საქმე მაქვს გასამხელი,
ამაზე ცალკე ვილაპარაკებთ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

თქვენ შეგიძლიათ ეს მოთხრათ აქვე,
და ჩემი ხმალი ჩემს სიმამაცეს
არ უღალატებს...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ვის წინააღმდეგ?..

ფ ე დ ე რ ი კ ო

თქვენ, კაპიტანო, თქვით ვგონებ ასე,
რომ გინდათ ციხის უფროსის ნახვა,
რომ ფედერიკო თქვენ უკვე ჰპოვეთ...
მაშ რაღას უცდით, ის თქვენს წინ გახლავთ.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

რა გიპასუხოთ, არ ვიცი სწორედ...
საოცარია, აქ რატომ ცხარობთ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

მაცრანს თქვენ ჩემთან ოთუ გქონდათ საქმე?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ღიახ... ციხისკენ მსურს გავიაროთ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

იქ არ წამოვალ... დე მოვკვდე აქვე... (განხე)
აი რა არის თავზარდაცემა,
სულ არ ველოდი...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

გთხოვთ ყურა მიგდოთ,
ციხეში, თქვენთვის გადმოსაცემად
აქ მოვიყვანეთ ჩვენ ფედერიკო,
მსურს ჩაგაბაროთ ვით პატიმარი...
იცით? ის მთაში მე შევიპყარი.

ფ ე დ ე რ ი კ ო

ა... ეს სხვა არი. სენიორ, როდესაც
თქვენ აქ მობრძანდით, ღელავდით ძლიერ,
და თქვენი ღელვა მეც გადმომეცა,
წამით შევშფოთდი ჩემს უნებლიეთ,
მეც მიკვირს ასე რად დამემართა,
რატომ შევშფოთდი... საოცარია,

უ ლ ე ხ ე

თქვენ შეიპყართ? ო, ნუთუ მართლა,
მაშ ფედერიკო პატიმარია?

კ ა პ ი ტ ა ნ ი

სწორედ, და როგორც ხელმწიფე ბრძანებს, —
საპურობილეში აქ მოათავსებთ,
დახურულ ეტლით წამოვიყვანეთ,
რადგან ვშიშობდით, შემთხვევით, გზაზე,
მას არ ჰყოლოდა ვინმე მნახველი,
არ დავარდნოდა ხმა უგმირესის,
არ გამხდარიყო მისი სახელი
ბრბოთა უგუნურ ღელვის მიზეზი,
რაც ხშირად ხდება. ახლა ციხისკენ,
ბატონო ჩემო, გავეშურებით;
ტყვეს ჩაგაბარებთ, თქვენც შემომფიცეთ,
რომ თვალს ადევნებთ მას ერთგულებით.

ფ ე დ ე რ ი კ ო

მზალა ვარ აქვე რომ დავდო ფიცი,
გფიცავთ ვაჟკაცის პატიოსნებას,
შავ-ბნელ საკანში ჩალპება პრინცი, —
ჩემს სიტყვას საქმეც დაემოწმება:
ისე ერთგულად ამიერიდან
გავუფრთხილდები პრინცს ფედერიკოს,

თოქოს ეს პრინცი მე თვითონ ვიყო,
რადგან ეს ჩემი ვალია წმინდა —
და რამდენადაც სიფრთხილით მმართვეს
პრინც ფედერიკოს ვუმეთვალყურო,
მე იმდენადვე ამ საქმისათვის
ჩემი სიცოცხლეც არ დავიშურო,
თითქოს, თუ მომცემთ ამის თქმის ნებას,
ჩვენ ვიყოთ ბედით გადაბმულები,
ო, არ მოვაკლებ მას ყურადღებას,
მთელი სიმკაცრით და ერთგულებით.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ვიღებ ფიცს თქვენსას, წავიდეთ ახლა,
გემართებს დავიცვათ იღუმალემა.
ყველას ეკრძაღვის აქ პრინცის ნახვა,
თქვენ კი, სენიორა, გაქვთ ამის ნება,
თუ მოისურვებთ, დანახვაც თქვენი,
მას თავზარს დასცემს, ვით განაჩენი.

ე ლ ე ნ ე

ეგ მართალია — თუმც უნდა ვნახო,
ველაპარაკო... ჩემს თვალთა ცეცხლი
რომ მიაშუქებს, გულიც მის ახლოს
რომ აძგერდება აღვსილი გესლით,
ძალმიძს მუხანათს ცა დავუბნელო...
მას მოჰკლავს ჩემი ხმის გაგონებაც.

მაგრამ ვერ ვნახავ... ო, ესპანელო.
ღირსებას ჩემსას, ჩემს შურისგებას,
მარტო თქვენ განდობთ... მზის სინათლისკან
იგი ურჩხული გთხოვთ დაიფაროთ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

საწინდარია ეს გულიც მისი, —
რომ გულმოდგინედ და უანგაროდ
პრინცს, როგორც ჩემს თავს, ვუყარაულებ.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

ახლა ციხისკენ გავეშურებით...

ფ ე დ ე რ ი კ ო (განხუ)

ღმერთმანი, თითქოს და სასწაულათ
ჩემივე თავის დარაჯი ვხდები.

(უედერიკო და კაპიტანი მილიან)

გამოსვლა მმცხრე

შემოდიან მარგარიტა და სერაფინა

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მოულოდნელი ჩემი სტუმრობით
მე შენი დასჯა მინდოდა განა?

ე ლ ე ნ ე

ძვირფასო, ამას რად მეუბნება?
მადლობა უფალს, რომ შოგიყვანა.
ამით შენ ისეთ პატევს მანიჭებ,
თითქოს ხელახლა ჩამიდგი სულა,
მიკვირს, რომ ჩემკენ გადმოაბიჯე.

მ ა რ ვ ა რ ი ტ ა

შენს სანახავად ვარ წამოსულა.

ე ლ ე ნ ე

ნუთუ ამიტომ?

მ ა რ ვ ა რ ი ტ ა

მსმენია ისიც,
რომ ეს წუხილის ტყე არის ბნელა...
მეც გამომგზავნეს აქ ცრემლებისტვის,
ო, მტანჯავს სევდა განუქარველი,
იქნებ დავწყნარდე, დობილს საყვარელს
გეტყვი, რაც გულში დაფარულა.

ე ლ ე ნ ე

შენი სტუმრობა ისე მახარებს...
ალბათ, მიზეზი საყვარულა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

პო, იყო...

ე ლ ე ნ ე

ახლა?..

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თქმაც მეძნელება..

გაქრა თუ ღვივის ის სიყვარული...
დაე ეს გითხრან ჩემმა ცრემლებმა.

ე ლ ე ნ ე

უფრო გარკვევით ჯობია თქმული;
ჩემს სიყვარულზე მეც მოგიყვები,
ჩემო სენაორა, ჩემო დობილო,
იყო, გაქრაო, შენ მეუბნები
შენს სიყვარულზე უკმაყოფილოდ...
ჩემი კი შენსას არ ჰგავს სრულიად: —
ჩემს ფაქიზ ალღოს თუ დავუჯერებ,
ჯერ იგი ოდნავ ჩასახულია,
რაც სიყვარულად იქცევა მერე.
აი, აქ დავსხდეთ, სად ყვავილნარი,
ირწევა, მზიურ ნოხს შესადარა.

მწვანე ხის ჩრდილიც ისეა წყნარი,
ვით სიყვარულის თავშესაფარი...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განა.)

არ გაათავებს დაღამებამდე,
ის კი არ იცის, რომ არ მცალია...
საქმეს შეგუდგეთ, (სერაქოს.) პატივი დამდე.

ე ლ ე ნ ე

პატივისცემა ჩემი ვაღაა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე მინდა დღესვე, აუცილებლად,
ციხეში პრინციდან გასაუბრება.

ე ლ ე ნ ე

მე ნებასა მთხოვ? ოჰ, მეც-ნება
ვისაც გაქვს ეგზომ დიდი უფლება,
მე ნება დაგროთ? ნეტავი რატომ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რატომ? ამასაც მერე აგიხსნი.

ე ლ ე ნ ე

რა საჭიროა ეს განმომარტო?
შენი თხოვნაა აქ საკმარისი,
რომ ციხის კარი გაიღოს ფართოდ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ჯერ კი, დობილო, ვიდრე არ ბნელა,
მე ნადირობას ტყეში ვაპირებ.
დაე სოფელში იფიქროს ყველამ, —
თითქოს აქ მოვხვდი ვით მონადირე.
ო, ისე გმადლობ, მე შენგან უკვე
დავალებული ვარ ისე დიდად...
კეთილი ქცევით დარდს მიმსუბუქებ...
მეც შეგისრულებ, თუ რამე გინდა. (გაღი.)

ე ლ ე ნ ე

ღმერთმანი, არის გასაოცარი,
ამდენ მადლობას რად მეუბნება?
აჰა, ახლაც კი გამოვიცანი,
რამ შეუცვალა უცებ გუნება...

გამოსვლა მიათე

ელენე, ფედრიკო

ფედერიკო

სენიორა, პრინცი ციხეში გახლავთ.

ე ლ ე ნ ე

ა, ეს კარგია, მისმინეთ მხოლოდ,
მე თქვენ ერთ რამეს გაცნობებთ ახლა,
და თანაც ცოტა რამ უნდა გთხოვოთ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

თქვენნი მოწა ვარ.

ე ლ ე ნ ე

აქ ჩამოვიდა

დღეს ნადირობის გულისთვის თითქოს
მეფის ასული, თვით მარგარიტა...
ისე კი უნდა პრინცს მიაკითხოს.
ვფიქრობ, მაზეზი სიყვარულია,
და სინამდვილის მინდა შეცნობა.
ეს სურვილია ფუჭი სრულიად,
მაგრამ ქალი ვარ, რა გაეწყობა...
მსურს მათ საუბარს დააყურადოთ,
გთხოვთ, ესპანელო, პატავი მეცით, —
რასაც იტყვიან შთენილნი მარტოდ,
სიტყვით სიტყვამდე მე გადმომეცით..

ფ ე დ ე რ ი კ ო

განა თქვენს მონას ეს შეეძლება,
თუნდაც უღელში მორჩილებისა?

ე ლ ე ნ ე

გთხოვთ, გევედრებით, საკითხი წყდება
ჩემი სიცოცხლის და ღირსებისა...

მინდა გავიგო, თუ დაიშვება,
რომ გავაძარტლოთ ჩვენ სიყვარულით,
მკვლელთან, გამცემთან დამეგობრება,
ეს საშინელი დანაშაული. (მიღის)

ფ ე დ ე რ ი კ ო

ვერ გამიგია, იქნებ მთვრალი ვარ...
ღმერთო, სადა ვარ? — შენ გეკითხები.
ირგვლივ სიცრუე, არევ-დარევა
და დახლართული ლაბირინთები.
შეუძლებელიც შესაძლო ხდება...
ვინ ირწმუნებდა, — რომ ქვეყანაზე
სადმე, ოდესმე მოინახება
ჭალი ესოდენ სიმტკიცით სავსე,
ვით მარგარიტა, ჩემი ოცნება...
ო, ენამწარე, ავყია ხალხნო!
თქვენ, ვინც აბრალებთ შეუმოწმებლად
ქალს მერყეობას, გთხოვთ დაინახოთ
აი ეს ციხე, რომ დაიჭეროთ
მწველ სიყვარულის ძალა და გზნება.

ბამოსვლა მითერთმება

ფედერიკო და რობერტო

ფ ე დ ე რ ი კ ო

აჰა, შენც აქ ხარ, რობერტოვ ჩემო!

რობერტო

ნუთუ თვით პრინცო მესაუბრება?
მის სახეს ვხედავ?

ფედერიკო

ჩანს, ბედმა ბანქო
ასე ჩააწყო... იქ რას შვრებოდი?

რობერტო

აი იმ ცხოველს, იმ საარაკო
ვირს, კაცის მგვანსა თავს ვეველებოდი,
ჯერ არ მინახავს მხეცი ამგვარი,
და საკვირველი სწორედ ის არი, —
რომ სულ ამტკიცებს, ეს ყველაფერი
რასაც ვხედავო, არის სიზმარი.

ფედერიკო

ის სიმართლესთან ახლოა მეტად.

რობერტო

თავიც უჭირავს მას დიდებულად,
თითქოს პრინცია.

ფედერიკო

ჩემო რობერტო,
რომ ის პრინცად არ დაბადებულა,
არაფერს ნიშნავს... თუკი მას სჯერა

თვისი პრინციპა, ვით ბედისწერა.
ჩამომავლობით თუნდ გრანდიც იყო,
ცხვირს ნუ აიწევ თავმოწონებით,
ხალხმა, ქვეყანამ როგორ მიგილო: —
აი საზომი შენი წოდების.

რ ო ბ ე რ ტ ო

საქმეც ეგ არის — ბატონი გასდა;
სული წაიღო მისმა ბრძანებამ...
იძულებულს მხდის, გარეშე ხალხთან
მას ქედს ეუხრიდე დაუზარებლად:
სამაგიეროდ, ო, როგორ მკვირცხლად
მივბეგვავ ხოლმე, თუ მარტო ვრჩებით...

ფ ე დ ე რ ი კ ო

სიბრიყვეს ამბობ.

რ ო ბ ე რ ტ ო

სიცოცხლეს გფიცავთ,
ისეთ მუშტებით ვუმასპინძლდები...

ფ ე დ ე რ ი კ ო

თავს რითი ირთობს?

რ ო ბ ე რ ტ ო

ის ხვრინავს ახლა,
მსუქან ღორივით ძირს დაგდებული.
როდესაც ტახტი პირველად ნახა

ხარატულეებით დამშვენებულა,
არ მიეკარა შიშით თუ რილით,
ძირს დაეძინა, ვერაფერს გავხდი.

ფ ე დ ე რ ი კ ი

თავაზიანად შენც აუხსნილა,
რომ საძინებლად არსებობს ტახტი.

რ ო ბ ე რ ტ ო

მე ჭკვიანურად მოვიქეც უფრო.

ფ ე დ ე რ ი კ ი

როგორ?

რ ო ბ ე რ ტ ო

იმ ტახტზე მეძინა მშვიდად.

ფ ე დ ე რ ი კ ი

მსურს ერთ რამეზე მოგესაუბრო, —
იცი, რობერტო, აქ ჩამოვიდა
დღეს მარგარიტა, რომ პატომარა
მოინახულოს, და, რა თქმა უნდა,
მან ჯერ არ იცის იგი ვინ არი,
და ვიდრე საქმე არ გახმაურდა,
დე, ნუმც გააგებს... იქ ვილაც არა.

რ ო ბ ე რ ტ ო
ჰო, აკაკუნებს.

ფ ე დ ე რ ი კ ო
გაულე კარი.

განოსვლა მეთორმეტე

იფინივე და მარგარიტა
(ფედეროვო სავარძელში ჯდება)

რ ო ბ ე რ ტ ო
ბრძანეთ, რა გნებავთ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

აი, ნებართვა,
თვითონ ელენეს მონაწერია,
მსურს პატიმარი მიჩვენოთ.

რ ო ბ ე რ ტ ო

მართლაც,

ნებართვა ყოვლად წესიერია.
ცხის უფროსმაც მიბრძანა, სწორედ
ამგვარ ნებართვით ვუშვებდე მნახველს.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

შენ რიბერტო ხარ?

რ ო ბ ე რ ტ ო

აქ როგორ მოხვდით? ახ, სენიორა,

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ჩემს სიამაყეს
დასძლია ბრმა და გიჟურმა გზნებამ,
შენი ბატონი ახლა სად არი?

რ ო ბ ე რ ტ ო

აი იქა ზის — ის მწუხარებამ
ისე დასტანჯა... ისე დამდნარი
გახლავთ, რომ ვშიშობ დამწვარი გული
არ განიგმიროს, თუ თქვენ მაღამოდ
არ მოუტანეთ მას სიხარული.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ა, ფედერიკო!

ფ ე დ ე რ ი კ ო

ო, ხმავ, საამოვ,
ამმალღებელო ჩემი გრძნობების...
განა ვის ვხედავ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თვითონ შენს სატრფოს,
გწამდეს, რომ ქალმა ჩემი წოდების,
სიყვარულს არსად არ უღალატოს,
მე ხალხს ანგარიშს ეუწევდი მანამ,

ვიდრე გნახავდი, შეგიყვარებდი...
უკან დავბრუნდე, გზებო არ ჩანან,
ვერც დაგივიწყებ შენ სამარემდო.
სად შენ მოკვდები, მეც იქ მოკვდები.
გადაჩეხილხარ შენ თურმე კლდებზე.
ეხ, სიყვარულმა არ მომცა ფრთები,
და უღონობით ამოვიკვნესე.
მამას სურს შენზე იძიოს შური,
დიდ საფრთხეშია სიცოცხლე შენი,
ოჰ, უფრო მე ვარ აქ უბედური,
სიცოცხლეს მისპობს ეს განაჩენი.
გესმის? ჭიშკართან, მახლობლად გზისა,
შენთვის ცხენია გამზადებული —
ორი დამბაჩა და ფულით ქისა
უნაგირშია მოთავსებული. —
რომ შენ გაშველო ყველგან და მარად,
რას არ ჩავიდენ, გააქეც ბარემ...

ფ ე დ ე რ ი კ ო

მე შენ სიმართლეს არ დაგიფარავ,
ისე, როგორც შენ არ დამიფარე.
არ ვარ ტუსალო, გიამბობ მოკლედ,
ცხენი მე მართლაც დამემსხვრა ქაშინ,
და რომ სიმძიმით არ შევებორკე,
ის საჭურველი დავტოვე მთაში,
და მტრის, ელენეს, მამულში მოვედი,
რომელმაც მომცა მე საფარველი.
შემდეგ, შემთხვევით საჭურველის მპოყნელ

ერთ გლახს სდევრებმა ჩააღეს ხელი,
შეცდნენ საჭურვლის ნიშნეულობით,
გლახი ციხეში მყავს დამწყვდეული;
მე ხომ ელენეს განკარგულებით
ციხის უფროსად ვარ დანიშნული.
აი, რაც მოხდა, მე ტყვე არა ვარ,
მაშასადამე, ჩემო ლამაზო,
ძალმიძს ყოველდღე დაუფარავად
შენ გინახულო და გებაასო.
შიშით გავიქცე, ბედნიერება
შენთან ყოფნისა როცა მეღირსა?..
ყველაზე დიდი საშინელება, —
განშორებაა მიჯნურებისა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ეგ რა მითხარი... და ვშიშობ მაინც, —
აქ რომ სიცრუემ იჩინოს თავი,
თავს დაგატყდება შენ ჩემი მამის
რისხვა და მერე რა შესაზარი...

რ ო ბ ე რ ტ ო

ვფიქრობ, ამ საქმეს შემოევლება.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როგორ?

რ ო ბ ე რ ტ ო

ჯერ გული თქვენ გაუხსენით
ვინმეს, რომელსაც არ ეძნელება,
ეს მეფეს უთხრას, და მეფეც თქვენი
სიყვარულისთვის მთლად დაამდება,
ალარც ძველ მტრობას გამოეკიდოს,
მშვიდად ყოველი აქ მოგვარდება —
ცოლად გაჰყვებით თქვენ ფედერიკოს,
მაგრამ თუ მეფე არ განიხრება
და სისხლს მოითხოვს აუცილებლად,
მაშინ უთუოდ მას მოუხდება
იმ ცრუ პრინც გლეხზე შურისძიება...
და გადარჩებით, სენიორ, კეთილად,
არა ჩანს საფრთხის აქ ნატამალიც...
ომი თუ ზავი — თქვენთვის ერთია,
მაგრამ ვაი იმ გლეხუჭას ბრალი...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

კარგი აზრია.

ფ ე დ ე რ ი კ ო

მეც აგრე ვფიქრობ,
მაშ, მარგარიტავ, უკვე სახალხოდ
იტყვი, რომ გიყვარს შენ ფედერიკო.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

გმადლობ, მე ამით მსურს ვიამაყო...
ღუმელში ღარღი მე დამიმძიმდა,

შენ კი მომეცი იმისი ნება,
რომ არ დაემალო გრძნობები წმინდა,
ალარ დამახრჩოს კვლავ მწუხარებამ.
მე ხმას დავარხევ, ტყვე მიყვარს თითქოს...
ის არის ჩემი ტრფობის საგანი,
რადგან დაერქვა მას ფედერაკო.
უმშვენიერეს სახელთაგანი,
ეს რომ არ იყოს, ვერც შევიძლებდი
ამ თვალთმაქცობას... წაველ... მიყვარხარ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

მე ჩემი ციხის დარაჯად ვრჩები
და შენს სიყვარულს გულში ვინახავ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ახლა ნახვამდის! გფარვიდეს ღმერთი...

ფ ე დ ე რ ი კ ო

ცამ გაგიმრავლოს სიცოცხლის ღღენი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რომ ეს სიცოცხლე იყოს სულ შენთვის.

ფ ე დ ე რ ი კ ო

რომ ვიამაყო მე მხოლოდ შენი
მშვენიერებით ამ ქვეყანაზე.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

შენთვის ძგერს გული გრძნობით აღსავსე.

მეორე მოქმედების დასასრული

მოქმედება მესამე

ბამოსვლა პირველი

შემოდინ ფედერიკო და ელენე

ელენე

მერე, რა უთხრა პრინცს მარგარიტამ?

ფედერიკო

უთხრა, ო, პრინცო, გეტყვი გამხელით,
შენი გმირობა ისე განითქვა,
და ისე მხიბლავს შენა სახელი,
ხოტბა-დიდება საქვეყნოდ თქმულა,
რომ გული მხოლოდ ერთს მეუბნება, —
მონა-მორჩილმა ამ სიყვარულის
შენ მოგიპოვო თავისუფლება,
მიუხედავად მეფის წყრომათა.
მაგრამ მას პრინცმა ასე მომართა:
არა, ციხეში მე ფიცი დავდე,
ამ ფიცს დავიცავ თვით სიკვდილამდე, —
ჩემი ღირსება, როგორც პრინცს შვენის,
იყოს სიწმინდით მიუწვდომელი...

ნუ შეწუხდებით, თუმცაღა თქვენი
სურვილისათვის ვარ მადლობელი.

ე ლ ე ნ ე

მართლა ეს უთხრა?

ფ ე დ ე რ ი კ ი

ღიახ, თქვენს მონას
ისე გარკვევით, ნათლად შესმოდა,
თითქოს ამბობდა ჩემს ვასაგონად.
მაგრამ, ო, თქვენო უმაღლესობავ,
თუ მარგარიტამ სხვა რამე ვითხრათ,
არ დაუჯეროთ...

ე ლ ე ნ ე

ჰა, მარგარიტაც
მოდის, წავიდეთ, ნუ გენახავს ერთად.

ფ ე დ ე რ ი კ ი

დე ამ საქმეში მოგხედოთ ღმერთმა.
(გაღიხ)

გამოსვლა მძორე

ელენე, მარგარიტა, სერაფინა

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (სერაფინას)

უნებებია ჩემს მამას თურმე.
ჩემთან ბელფორში ჩამობრძანება, --

სურს თვალით ნახოს, თუ დავიურვე
და მოვათავე მგლოვიარება.
მაშ, სერაფინავ, შენ მომცემ სიტყვას,
სხვის შეუმჩნევლად და იღუმალად,
რომ ეტყვი, პრინცი თუ როგორ მიყვარს,
მეფეს არაფერს არ დაუმალავ.
ეს ჩემთვის არის საჭირო დიდად.

ს ე რ ა ფ ი ნ ა

ცხადია, ვეტყვი, თუ ასე გინდათ,
მაგრამ იცოდეთ, მე ვღუმდი მუდამ,
ვიღრე არ ვნახე, რომ მას უყვარხართ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

შენ მართალს ამბობ?

ს ე რ ა ფ ი ნ ა

რალა თქმა უნდა. —
ეს საიდუმლო არ შემენახა...
ოხ, კარგი ვინმე კი ვიქნებოდი.
თუნდაც სიკვდილი ასჯერ მენახა,
ქვეყნად არავის გავუტყდებოდი,
მსურს შევასრულო, რაც ბრძანეთ ახლა,
თორემ არც მეფეს მოვუყვებოდი...
მოსაწონია თქვენი განზრახვა,
რომ თქმა არჩიეთ ღუმილს ბოლომდის. (განჯე)

ეს საიდუმლო რომ შემენახა,
აქამდე ბოლმით დავიხრჩობოდი. (მიღის)

ე ლ ე ნ ე (მარგარიტას)

ჩემო კეთილო, მარტო ხარ, განა?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ახ, თვით მშვენიერ ელენეს ვუმზერ.
ღიახ, მარტო ვარ და ნაღვლიანად
ვფიქრობ მშფოთვარე ჩემს სიყვარულზე,
ფალოსოფოსის მსგავსად, რომელიც
განმარტოებას ესწრაფვის ბრძენი.

ე ლ ე ნ ე

და ჩვენც ერთმანეთს ვუთხრათ ყოველთა,
სიხარული თუ წუხილი ჩვენი.
ვერავენ გვხედავს.##

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მამ მე პირველი

ვიწყებ.

ე ლ ე ნ ე

დაიწყე.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როცა გაისმა

ქება-დიდება გასაკვირველი
ფედერიკოსი, გულმედგარისა,
კეთილშობილის და ღირსეულის,
მან დაიუფლა ჩემი ოცნება,
და აქ ჩამოველ დამწუხრებული
მისი ცხოვრების შესამოწმებლად;
თუ ეპყრობიან ციხის მსახურნი,
როგორც დიდებულ პრინცს ეკადრება.
ციხის უფროსის ცოლის სახელით
გავბედე მის წინ გამოცხადება.
თურმე ყოფილა, ო, რა ჭკვიანი,
და რა საოცრად წინდახედული,
სიტყვით და ქცევით ალერსიანი,
ძლივსლა ვუსმენდი გულმილეული.

ე ლ ე ნ ე

ალერსიანი? ჭკვიანი? კმარა.
ასეთად მხოლოდ შენ გეჩვენება;
მე როგორც მითხრეს, ქცევა იმგვარად
მხოლოდ ხეპრე გლეხს შეეფერება.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ეგ შეცდომაა, ჩემო დობილო,
ფედერიკოა ყველგან ქებული,

როგორც მამაცი, კეთილშობილი,
თან ჭკვიანი და წინდახედული...
ყველას თვალშია იგი უნაკლო,
და მეც ვამტკიცებ, რომ არის ასე —
რალა თქმა უნდა, თუ ვლაპარაკობთ
ფედერაციოზე და არა სხვაზე.

ე ლ ე ნ ე

არ მინდა აზრი რომ შევიცვალო,
მმართველს ჩემს თავსაც ვუსაყვედურო,
ოხ, სიყვარულმა, რა დაგიმალო,
მეც შემაცდინა საუბედუროდ.
და თუ შენ მზად ხარ ცრემლი აბნო
ვილაც ხეპრეზე შეყვარებულმა,
მეც შემიყვარდა ერთი მდაბიო,
მისი მონა ვარ ჩემს უნებურად —
ციხის უფროსმა მომხიბლა ერთობ.
ვგონებ, შენც ნახე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განზე)

რა მესმის. ღმერთო!

ე ლ ე ნ ე (განზე)

მინდა ვიძიო შური ამაზე...
ოხ, ვეწამები...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რად შეფოთავთ ასე?

ე ლ ე ნ ე

ვშიშობ შემხედავ შენ ზიზლის თვალით, —
ასეთი კაცი რომ შემიყვარდა...
მაგრამ იცოდეთ, მე არ მაქვს ბრალი,
მე იგი ფეხქვეშ თვით ჩამივარდა. —
შემოგლეჯილა, მთლად განძარცული...
შევიფარე, და... მომტაცა გული.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

გესმის, ელენე? ნულარ ქადაგობ...
ეგ წვრილმანები რატომ გჭირდება?...
არა, არ მინდა ილაპარაკო...

ე ლ ე ნ ე

მაგრამ, მისმინე... არცთუ იმდენად
ქარაფშუტა ვარ რომ გრძნობებს აფევე,
და იქ, ციხეში, ვირბინო მისთვის,
არ დამიკარგავს ჯერ სიამაყე,
ჰო, მიყვარს, მაგრამ, მან როდი იცის,
რომ ასე მიყვარს, ვიწვი და ვლუმვარ,

და თუშცა ვხედები ძას სიხარულით;
მაინც ჭერ ისე არ დავცემულვარ,
მას შევთავაზო ცხენი ან ფულა.
არ შეკადრება, გაუხარელი
სულ მის ლოდინში ვიყო... რომ... თითქოს...
უფალი იყოს შენი მფარველი...
გთხოვ, აწ ამაზე არც შემეკითხო... (მიღღს)

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რად არ გავგიჟდი, ღმერთო, ო, ღმერთო!
მეც არ მეგონა თავს დავიჭერდი...
როცა ჩემს გულში თვით ეტნა ენთო,
და ვულკანივით იძვარიდა მკერდი.

ფ ე დ ე რ ი კ ო

ელენეს წასვლას ვუცდიდი მხოლოდ,
რათა შენს ფეხქვეშ მე გამეფინა
სიცოცხლე, შენგან მონიჭებული,
და ჰა, გავბედე, დავდგე შენს წინა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მე ზედმეტი ვარ, რად მანკიერობ,
მე მინდა მხოლოდ სიკვდილი შენი,
ჩემი სიკვდილის სამაგიეროდ.

ყ ე ღ ე რ ი კ ო

და რად მარგუნე ეს განაჩენი?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (აღზნებული)

ჩემი ღელვა და შენი სიცივე,
შენი სირცხვილი, ჩემი ნალველი...
ცრემლი, რომელიც თვალში ციმციმებს,
ტკივილი, ეჭვი გულის მდაღველი.

გამოსვლა მისამე

ელენე, მარგარიტა, ფედერიკო

ე ლ ე ნ ე (განზე)

მინდა გავიგო იქ მარგარიტა
ჩემს შეყვარებულს რას ეუბნება.
გზიდან დავბრუნდი, გულს ეჭვი ღრღნიდა,
დაფნათა ჩრდილნო, თქვენ გვევლებათ
ამათ თვალთაგან წამით დამფაროთ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ო, კაბალერო, სულით მდაბალო!
სახიერებავ უმადურისა...
ნუთუ ეს არის იმ ფიცის ფასი,
პირობა უცვლელ სიყვარულისა?
ეს არის შენი ალერსი ნაზი?

ან შენი ოხვრა სულ ამაღ ღირდა?...
ო, შენი გული, გასაგებია,
აღარ ეკუთვნის აწ მარგარიტას.
მას ხომ ელენე დაუფლებია?!
დაე გათავდეს აქ ჩემი შფოთვა,
მაგრამ სიცოცხლაც გათავდეს შენი.
ქალს გველად აქცევს შეურაცხყოფა,
გაათრებისას დაგშხამავს ენით.
თუმც დაშხამულსაც იოლად არჩენს.

ფ ე დ ე რ ი კ ო

შენ მართალი ხარ — ეგ სილამაზე
თუნდაც გაცოცხლებს ამ ქვეყანაზე.
თუნდ გამოგიტანს სიკვდილის სასჯელს;
შეურაცხყოფა რით მოგაყენა
მან, ვინც გაღმერთებს და შენი ესმის?
რად იფიქრებდა შენს გულისტყენას,
ვისთვისაც შენ ხარ უძვირფასესი?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ამაოდ ცდილობ მოავარაყო
სიცრუე სიტყვის ცრუ ბრწყინვალეებით,
ჰო, მისთვის დარჩი აქ იმის ახლოს...
ჩემს მამიდაშვილს ეტრფიალები.
მიტომ მოჩმახე რაღაც ამბავი, —
სახელს ვმალავო და მით გადავრჩი.
მისმა ტრფიალმა რომ დაგაბრმავა,

საკუთარ ციხის გახდი დარაჯი;
დაე აღმომხდეს ოხვრად და კენესად
გამწარებული სულის ტკივილი...
გავამხელ ლალატს, სიცრუეს შენსას,
ო, ჩემი ბაგე, მოთქმით, კივილით
ქვეყანას ამცნობს ასჯერ, ათასჯერ,
რომ შენ...

ფ ე დ ე რ ი კ ო

მაცალე, რა- გემართება?
ჯერ მომისმინე, მერე დამსაჯე.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

იქნებ გაბედო თავის მართლებაც...

ფ ე დ ე რ ი კ ო

დიახ, ამისთვის მე შემწევს ღონე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ღმერთმა გიშეელოს...

ე ლ ე ნ ე (თავისთვის)

მეც- გავიგონებ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

შენს მამიდაშვილს ვეტრფი? ო, ღმერთო!
მიტომ უფროთსიო თავის გამხელას...

რად გინდა მხამი გულს ჩაძაწკეთო?
კმარა, ცრუ ეჭვმა ნუ გაგახელა.
ბრმა ხარ, ამაოდ განაწამები,
მეხი დამეცეს, დღე მექცეს ღამედ,
ჩემს საცოცხლეში თუ იყოს წამიც,
რომ მისთვის მეთქვას ისეთი რამე,
რაც კეთილშობილ მსახურს არ შეენის,
დიახ, ეს ქალი, მე როგორც ვსტანი,
მაშველი გახდა აი ამ ჩვენი
სიყვარულისა დიდსულოვანი.
მე ხომ მან მომცა თავშესაფარი,
სად მკაცრმა ბედმა შემომიხაზა
ვიწრო ბილიკი... სად უშიშარი
დავალ და ძალმიძს მზირალსა ნაზად
გზვდებოდე, სიტყვას გეუბნებოდე,
მქონდეს უფლება — შენს ახლო ყოფნის,
და არასოდეს არ ვუკრთებოდე
შენს მამას, ჩვენგან შეურაცხყოფილს...

ე ლ ე ნ ე (განზე)

რაო? ეს მე ვარ მათი მაშვალი?
და ამას ვუსმენ მე უბედური...
ცაო, სად არის ჩემი საშველი...
კიდევ რას იტყვის, — დავუგდოთ ყური.

ფ ე დ ე რ ი კ ო

თუ შეიძლება მზეს ნათელ მოსილს
შეშურდეს ბრწყინვა ერთი სწივისა,

აღმასს სიწმინდე აბეთვისტოსი,
მაისს სიტურფე ნაზ ყვავილისა?
თუ შეიძლება ცას მოელვარეს
შურდეს ციაგი მიმქრალ შუქისა?
მკრთალი ვარსკვლავის ციმციმი მთვარეს,
ან ზღვას სიდიდე ნაკადულისა?
ტურფა ელენემ ამ სიყვარულით
რად დაგაეჭვა, ჩემო უფალო?
ის ყვავილია, ან ნაკადული,
პატარა სხივი, კენჭი უბრალო,
შუქი, კამკამით ძლივს მომდინარე,
ვარსკვლავი, ოდნავ რომ აციმციმდა,
როცა, ძვირფასო, შენ მზე ხარ, მთვარე.
გაზაფხული და აღმასი წმინდა.

ე ლ ე ნ ე (თავისთვის)

ერთი უცქირეთ რას შემადარა?

ფ ე დ ე რ ი კ ო

დე, ამქვეყნიურ სრულ ნეტარებით
დავტკბეთ, ძვირფასო, შევკრიგდეთ, კმარა...
ასე ამაოდ ნუ ვეწამებით.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მსურს ყოველივე ეს დაგიჯერო,
და ერთი ფიქრი მე მაინც მაკრთობს, —

იქნებ შენ სტყუი, საბედისწეროდ
მუდამ ადვილად აჯერებს სატრფოს
მიჯნურას სიტყვა ალერსით თქმული;
ტყუილიც მართლად მოეჩვენება,
რადგან აბრმავებს მას სიყვარული.
ვაი, სირცხვილო! თავს მივეც ნება,
რომ იმ სულელზე ვიეჭვიანო...
ოხ, ქარაფშუტა!

ე ლ ე ნ ე (თავისთვის)

ახლა ეს მამკობს...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ისე მიყვარხარ, სახემზიანო,
რომ თვითონ ტახტსაც დიდსაამაყოს
მე შენთვის დავთმობ, ოღონდ სანაცვლოდ,
თუნდ შენი ლანდი იყოს ჩემს ახლოს, —
შეუძლოს შევძლებ შენთვის, მამაცო,
და, რა თქმა უნდა, რომ ექვი ეგზომ
შემაშფოთებდა...

ფ ე დ ე რ ი კ ო

სულ უმიზეზოდ...:

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თუმც წუთით ვიყავ დაეჭვებული.

ფ ე დ ე რ ი კ ი ა

ტურფავ, გჯეროდეს, სწორს გეუბნები:
თუ ექვმა ოდნავ გაკაწრა გული,
წამს დააწყდება სიყვარულს ფრთები.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მაგრამ თუ ექვი არის მართალი?

ფ ე დ ე რ ი კ ი ა

ო, მაშინ სული უგრძნობი ხდება.
ახლა დაწყნარდი?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ვით შესძლებს ჭალი,
არ გაპატიოს თუნდ შეცოდება,
როცა მოგისმენს... შეყვარებული
სირინოზივით ჯადოჭარია.

ფ ე დ ე რ ი კ ი ა

მაშ, ელენეზე დაექვეებული
შენ მართლა სწუხდი?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

არ მიხარია,
როს შენგან მისი სახელი მესმის.

ფ ე დ ე რ ი კ ო

და თუ ასე გწყინს, მუდამ მახსოვდეს, —
მის სახელს შენი უმორჩილესი,
აღარ წარმოესტქვამ მე არასოდეს...

(მარგარიტა მიდის)

ე ლ ე ნ ე (საფარიდან გამოდის)

რად ჩამისახე გულში იმედი,
თუკი ერთმანეთს დღეს სამუდამოდ
უნდა გავშორდეთ... რად მაგინებდი?
თქვი, მოლაღატევ, ნუთუ მის გამო,
რომ შეგიფარე ფრთის ქვეშ, საბრალოვ,
რომ პატივს გცემდი დაუსრულებლად?
ეხ, კაბალერო, სულით მდაბალო!
ეხ, ცბიერ სტუმრის უმადურებავ!

ფ ე დ ე რ ი კ ო (თავისთვის)

ო, ეს რა მესმის, აქაც ხიფათი...
ისევ ახალი დავიდარაბა...

ე ლ ე ნ ე

მათხოვარივით ფერხთ ჩამივარდით,
ისე გტანჯავდათ თქვენ მწუხარება...
გადაგარჩინეთ უბედურებას,
მე შეგიფარეთ ბედისგან კრული,

და რა პირშავი უმადურებით
გადამიხადეთ ეს სიყვარული?
ო, რა ტკბილ ვაჭრად მიჩვენეთ თავი,
მეც დაგიჯერეთ საბედისწეროდ.
რატომ, ოხ, რატომ შეურაცხმყავით
ეგზომ საშინლად, თქვენ, კაბალერომ?
თუ ის გხიბლავდათ თქვენ სილამაზით.
რად დამცინოდით მე ეკრე მწარედ?
რატომ დაგჭირდათ ნეტავ აღმასი,
მიმქრალი შუქი, ან მზე და მთვარე?
ვით საკუთარი თავის დარაჯი
ცხოვრობთ ჩემს სახლში სხვისი სახელით.
დაე გაერკვეს მეფეც ამაში,
ერთად გადმოსკდეს ჩემი ნალველი...

ფ ე დ ე რ ი კ ო

ტურფა ელენევ!

ე ლ ე ნ ე

თქვენ როგორ ბედავთ
თქვათ ის სახელი, დიახ, რომელიც,
თქვენს მარგარიტას ალონებს მეტად?

ფ ე დ ე რ ი კ ო

ჯერ მომისმინეთ მშვიდად ყოველი,
და თუ სიწრფელით ვერ დაგაჯეროთ,
ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელში არი.

დაე მომკალით... ვარ კაბალერო,
ტყვე ფედერიკოს ვარ მეგობარი.
რომელსაც უყვარს მეფის ასული.
მას შესაპყრობად რომ სტაცეს ხელი,
უკვე იმ ტყიდან ვიყავ გასული,
სადაც დავტოვე მე ტანსაცმელი.
ჰო. იმ დღეს, გახსოვთ? რა უტიფარი
კადნიერებით გამოგეცხადეთ...
თქვენ ჩამაბარეთ ის პატიმარიც;
ჩემი სიმართლის საბუთად გწამდეთ,
რომ მეგობარი მყავს შეპყრობილი,
გაწამებული ტყვეობის სევდით,
და რომ არ ვიყო კეთილშობილი,
საპყრობილიდან მას გავაქცევდი.
ჩემს პრინცს ვდარაჯობ, აი რად მითქვამს.
რომ ვარ საკუთარ ციხის დარაჯი.
თუმც გემსაა ურეთ ერთგულად, ღიჯხანს,
მინც საყვედურს ველარ გადავრჩი.
იქნება ფიქრობთ, მე თქვენ გაგირბით,
რადგანაც სატრფო მყავს შესაფერი?!
ეხ, მე ხომ თქვენთვის ერთი ღარიბი
სოვდაგარი ვარ, სხვა არაფერი,
როგორც ვაჭარი, კრძალვით და რიდათ.
ამ სათნოებას გულით გიფასებთ...
და არა როგორც მანტუის ღიდი
ჰერცოგი, ტურფა მარგარიტაზე
შეყვარებულა...

ელენე

იმართლოთ თავი,
ალარ გიშველით ენამჭევრობა.
მუდამ ორპირი ჩემთან იყავით,
დაფარეთ თქვენი მდგომარეობაც.

ფედერიკო

ელენე!

ელენე

არ სთქვათ ჩემი სახელი.

ფედერიკო

იქ მეფე მოდის, და სიკვდილს ჩემსას
თქვენ გამოიწვევთ ამის გამხელით...

ელენე

დე, დაილუპოს (ვთხოვ მაღალ ღმერთსა)
ვინც მე გამგმირა ეჭვის მახვილით.

ფედერიკო

მაშ სიკვდილს მისჯით შეუბრალებლად?

ელენე

სწორედ ისევე, ოხ, უმაღურო,
ვით მომისაჯეთ თქვენ მძულვარებაჲ

დაე თვით მეფემ თქვენო ხრაკები
გაიგოს ბარემ...

ფ ე ლ ე რ ი კ ი

რადგან გაჭირდა
გადაგარწმუნოთ, ფხიზლად ვიქნება,
თვით დავუძვრები სიკვდილს კლანჭიდან.
(მიღის)

ე ლ ე ნ ე

ბევრიც ეცადოს, თავს ვერ დააღწევს,
სიკვდილსაც აღარ ჩაეძინება,
შეურაცხყოფა ქალს გიჟად აქცევს, —
ველარ მოზომოს შურისძიება.

გამოსვლა მეოთხე

ელენე, მეფე, სერაფანა

ს ე რ ა ფ ი ნ ა

მეფევ, ისმანეთ ხმა ვედრებისა,
შეუმსუბუქეთ თქვენს ასულს დარღო.

მ ე ფ ე

ებრძვის წყურვილი შურისგებისა
ჩემში სიყვარულს ასულისადმი.

ე ლ ე ნ ე

მეფევ, მსურს თქვენ წინ ავხადო ფარდა
ერთ ამბავს, სავსეს უბედურებით, —
გამცნობთ, თქვენს ასულს ვინც შეუყვარდა...

მ ე ფ ე

ვიცი, რას მეტყვი, ნუ მეუბნები.
თქმით გულისტკივილს ნუ მომიმატებ,
მარგარიტაა აქ ჩემი მკვლელი...
ვიცი, რომ უყვარს ის მოღალატე,
და სიყვარულში ჩანს განუხრელი.

ე ლ ე ნ ე

ეს თუ გაიგეთ, თქვენც შესაფერი
ლონისძიების მიღება გმართებთ.
მხილებულია თვალთმაქცი მტერი,
და თქვენც სამართალს ნუ უღალატებთ.
არ შეიძლება მუხანათს, მტერსა,
გაჰყვეს ინფანტა მზისუნახველი,
ან თქვენს მიწაზე, თქვენს სახლში დღესაც
ცხოვრობდეს მკვლელი სხვისი სახელით,
დაე აღივსეთ საშინელ რისხვით,
თუ ჩვენ მართლა გვაქვს სისხლი საერთო, —
ეგ გაყინული, დამცხრალი სისხლი,
შურისძიებით უნდა აენთოს. (მიღის)

მ ე ფ ე

ერთს და იმავ დროს, ღმერთო, ვინ არა,
რომ შეაჯეროს ორივეს გული?
ვისზეც ელენეს აქვს საჩივარი,
ჩემს ასულს მისი სწავეს სიყვარული;
პრინცის საშველად თუ ერთი იღვწის,
მტკიცედ, ბოლომდე მას ესარჩლება,
მეორეს უნდა სიკვდილი პრინცის...
მაშ... მარგარიტას ხვდეს გამარჯვება.
ასე ჯობია, ჩემს ქვეყანაშიც
მშვიდობის საქმეს მით ეშველება,
და ელენეს კი, სულ ცოტა ხანში
გამონელდება ციებ-ცხელება.

ბამონცვლა მიხუთი

მეფე, კაპიტანი

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მოსხენებისთვის გთხოვთ ნება დამართოთ,
ნეაპოლისკენ დასალიერით,
გამოჩნდა ჯარით თვით ელუარდო,
ტახტის მემკვიდრე სიცილიელი.
მოსდევს სპა ყველა მის ქვეშევრდომთა,
მისი ძმეს, პრინცის გამოხსნის მდომთა,
გზად გრიგალივით მოეჩქარება...

მ ე ფ ე

თუმც ჩემი ბოღმა და მძულვარება
მაქეზებს მომხდურთ რომ შევებრძოლო,
შალმის ერთბაშად მოვუღო ბოლო...

მიუხედავად სპის სიმრავლისა,
აზრმა ნათელმა გამახალისა...

და აი, გეტყვი, რა' მოვისაზრე:

ჩემს მარგარიტას... (ოი რას ვფიქრობ...

რატომ დამტანჯე, უფალო, ასე?!)

ჩემს მარგარიტას ტყვე ფედერიკო

უყვარს ნამდვილად, ცრემლები ამხელს...

ო, ისე ძლიერ წუხს, მოიწყინა,

რომ მის სიცოცხლეს ეს უქმნის საფრთხეს,

მითხრეს ელენემ და სერაფინამ...

ისეც ვიცოდი... და მარგარიტა

უმჯობესია პრინცს მივათხოვოთ,

წამს ყველაფერი მოგვარდეს მშვიდად,

მაგრამ მაშფოთებს... ერთი რამ მხოლოდ...

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მაინც რა, მეფევ?

მ ე ფ ე

ღიას, მაშინებს,

ვინ უწყის, ითქვას, — რომ ფედერიკო

ამ სერიოზულ ვითარებაში

ვერ გაერკვევა...

კ ა ბ ი ტ ა ნ

გთხოვთ მშვიდად იყოთ,
უცნაურ ვინმეს ის დაამსგავსა
იმან, რომ ციხის კედლები ხუთავს...
წუხს, ნაღვლიანობს, მაგრამ რა წამსაც
კვლავ თავისუფლად ამოისუნთქავს,
ის თავის თავსვე დაუბრუნდება.

მ ე ფ ე

სწორია... მაგრამ, მე მაინც მინდა,
ვიდრე მას მივცემ თავისუფლებას,
ერთი რამ ვცადო... ჰე, მარგარიტა...
(მარგარიტას გასსა'ებს)

ბამოსვლა მემამვესა

ივინივე და მარგარიტა

მ ე ფ ე

თავს როგორა გრძნობ?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მეფეო, ცუდად,
არ შეუძლია გულს გახარება...
თვითონ თქვენც ხედავთ, ვკეითანებ მუღამ...
•••

მ ე ფ ე -

ერთს დაგავალებ...
მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ბრძანეთ, რა გნებავთ.

მ ე ფ ე

მარტოობაში წამებულს, მწუხარს,
საფრთხე მოელის იქ ფედერიკოს,
ვთქვათ უცებ მოკვდა, ხალხს ჭორი უყვარს,
ხომ არ იტყვიან, რომ იგი თითქოს
მოკვალ თვით მეფემ? ვინ უწყის, იქნებ
სიცილიაშიც იმსჯელონ ჩემზე,
როგორც ვერაგზე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მერე მე რა ვქნა?

მ ე ფ ე

წადი, ნახე და მოუალერსე,
შთაბერე სული, სიმხნე და ღონე,
მეც შენთან ერთად წამოვალ, შვილო,
ჩემი გულისთვის, გთხოვ, გამიგონე...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ჩემი ვალია დაგემორჩილოთ.

მ ე ფ ე (განზე)

ეს, დამეთანხმა და როგორ ჩქარა,
თვალეებში უკვე სიხარულია...
ბაგეზეც ღიმმა გადაურბინა.
მეც თავს ვაჩვენებ, თითქოს სრულიად
ამას ვერ ვამჩნევ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (თავისთვის)

როდესაც მეფე
ჩვენს სიყვარულში თვით დარწმუნდება,
აქ ჩორცს შეისხამს, რაც ვიოცნებეთ,
წინ ჩვენ სიყვარულს ვინ დაუდგება?

გამოსვლა მიწვიღე

მომღერლები, მესაკრავენი, რობერტო, ბენიტო
ტანთ იცვამს

რ ო ბ ე რ ტ ო

მიბრძანეთ, თქვენო უმაღლესობავ,
როგორ გეძინათ?

ბ ე ნ ი ტ ო

ო, დიდებულად.
მეხის გრიალიც არ ჩამესმოდა,
მეძინა ისე მოსვენებულად.

რბილ, მდიდრულ ტახტზე, რალა თქმა უნდა,
ვიწეკ, ვით პრინცი და ძილისგულა.

რობერტო

(მესაკრავებებს და მომღერლებს)

მაშ დაუკარით, იმღერეთ, ვიდრე
ტანთ იცვამს მისი უმაღლესობა.

მუსიკოსები

ის საგანგებო დავუკრათ კიდევ.

(უკრავენ, რაც მოაფიქრებთ)

ბენიტო

რობერტო...

რობერტო

ბრძანეთ.

ბენიტო

გულს არ ეწყობა.

ერთი უბრძანე დაჩუმდნენ, კმარა,
მათ ყურთასმენა ჩემი წაიღეს,
დე, თუ ღმერთი გწამს, მიმღერონ წყნარად,
ის, მე რომ ვიცი, გესმით? აი ეს...

(ამბობს იმ სიმღერას, რომელსაც ის და
ანტონა მღეროდნენ პირველი მოქმედების მეორე გამოსვლაში)

რობერტო

ეს გინდათ, ის კი არ მოგეწონათ?

ბ ე ნ ი ტ ო

იმას ბევრით სჯობს, აქ რასაც ვისმენ,
ასე ვმღეროდით მე და ანტონა,
სამუშაოდ რა გავწევდით მთისკენ.

რ ო ბ ე რ ტ ო

თუ ვინც ხართ, თქვენო უმაღლესობავ,
ესოდენ ჩქარა რად დაგავიწყდათ?

ბ ე ნ ი ტ ო

მართლაც, რა მომდის, ეს არ მესმოდეს,
განა ბრიყვი ვარ? ყველა მთვლის პრინცად...
პრინცი ვარ, მაგრამ, ნეტა რა მქვია?

რ ო ბ ე რ ტ ო

ხართ ფედერიკო სიცილიელი.

ბ ე ნ ი ტ ო

ჰო, ეგრე იყოს, თუ ეს კარგია,
თუმც ჩემთვის არის გაურკვეველი
სიდან დამეცა თავზე პრინცობა...
რატომ არ უნდათ ვთქვა, რომ იქ, გაღმით,
რაც აქედანაც გამოიცნობა,
ჩემი ეზოა და ჩემი სახლი?
ჰო, ბელფორია ამ ფანჯრებს იქით,
აგერ სარკემიც კი ვხედავ ცხადად,

ო, ღმერთო ჩემო, მაშ თავში მიქრის?
ის ხომ ჰუანოს სახლია ნაღდად?

ეს ანტონასი, მის იქით კიდეც
არის ბარტოლეს ქოხი პატარა,
შემდეგ კი მოჩანს იმ სახლას კიდე,
მარტინემ თავი რომ შეაფარა.

აგერ ღუქნისკენ რომ მოიჩქარის,
პედროა, ბავშვი უსაყვარლესი,
და მერე იგი ხომ შვილი არის
ჩვენი კლარას და პონომარესი?
ხო, ასე ამბობს სოფელში ყველა;
მეც ასე ვფიქრობ, თუმცა რა ვიცი...

იქ, სოფლად, მღერის ჩვენი დალაქი,
თავის ფარდულში იმღეროს, დატკბეს...
მე ეს რად მინდა, ვერცხლის ლამბაქით
როცა მიღებენ წინ შემწვარ ქათმებს,
ვსეირობ ისე, მე როგორც მნებავს,
მაცვია ხავერდ-აბრეშუმები;

ეს სიმართლეა თუ მოტყუება,
ჩემს ბედისწერას არ ვემდურები.
მაშ მე პრინცი ვარ? რა გაეწყობა,
ცოტა არ იყოს, ეს მირჩევნია.

რ ო ბ ე რ ტ ო

(მუსიკოსებს და მომღერლებს)

დაგვტოვეთ, მისი უმადლესობა
კვლავ ცუდად გახდა, როგორც სჩვევია,

(მუსიკოსები და მომღერლები მადიან).

აგრემც წაგიღონ შენ ეშმაკებმა...
რა გაბუზღუნებს, რას მოთქვამ, რატომ?
ნუთუ არ გეყო პატივისცემა?
კიდევ რა გინდა?

ბ ე ნ ი ტ ო

მინდა რომ მარტო
არ ვიყოთ — თვალში ეკლად მესობა
შენი ზრდილობა, სიამტკბილობა,
სენიორ! თქვენო უმაღლესობა!
ლაქუცი, მდაბლად თავდახრილობა...
ვიცი ფერდებში ეს ამომტეხავს,
როცა პირისპირ ჩვენ მარტო ვრჩებით,
ღიახ, ჩემს ფერხთან მუხლებზე დგებარ,
მაშინ, როდესაც გვიცქერენ სხვები,
და თუ მომაკლდა ვინმეს თვალყური,
წამსვე მზადა გაქვს ჩემთვის პანდურა.

რ ო ბ ე რ ტ ო

შრომას ხომ ვიყოფთ ამხანაგურად?
სხვა რაღა გინდა, შე უმაღურო?
ვთქვათ, თუ პირველად მე გემსახურე,
მეორედ უნდა შენ მემსახურო.

ბ ე ნ ი ტ ო

კარგი. მუშტები არ იყოს მხოლოდ,
(თავისთვის) მეც შენი სული ხელში მიჭირავს:
ხალხი მოვიდეს! ო, სამახსოვროდ
მაშინ გიჩვენებ, თუ რა ბიჭი ვარ,

იგინვე და ფედრიკო

ფ ე დ რ ი კ ო

ჩემგან მოლოცვა მიიღეთ, თქვენო
უმაღლესობავ! აქ მობრძანდება
მეფეც, ინფანტაც... მსურს მოგახსენოთ,
დღეს თქვენთან მათი გამოცხადება
ნიშნავს ბორკილი რომ აგეხსნებათ.

რ ო ბ ე რ ტ ო

რომ ინფანტაა საცოლე თქვენი,
გახსოვდეთ, თქვენო უმაღლესობავ...
მას უნდა შეხვდეთ, ვით საქმროს შვენიის...

ბ ე ნ ი ტ ო

ჰო, ვიცი, ვიცი თუ რასაც ვეტყვი...
ვგონებ, სულელი არ უნდა ვიყო,
რომ არ ვიცოდე ამაზე მეტიც.
(თავისთვის) ო, იქ რას გიზამ, შე მართლა

ბრიყვო...

სულ გადაგიხდი სამხიარულოდ
იმას, რაც შენგან მაქვს მიღებული.

ფ ე დ რ ი კ ო (განზე)

აი, ისინიც: ო, სიყვარულო,
დღე ამ სიცრუეს შთაბერე სული,

შენ ხარ ისეთი ჭკუამახვილი,
გრძნეულო, გესმის ყოველ გულსა..
გთხოვ დაარწმუნო მეფე მნახველი
ამ მოჩვენებით სიყვარულისა,
რომ გული ტურფა მარგარიტასი,
ჩემი გულისთვის ეწამა ნაზი.

ბამოსვლა მმცხრე

იგინივე, მეფე და მარგარიტა

მ ე ფ ე (ბენიტოს)

იქნებ არვისგან ეს არ გეცნობათ,
და არც ელოდით ჩვენს გამოჩენას...

ბ ე ნ ი ტ ო

ვიცოდი. ამ ჩემს უმაღლესობას
უკვე რობერტომ ეს მოახსენა.

მ ე ფ ე

მინდა დარწმუნდეთ როგორ გაფასებთ,
ან ვით უყვარხართ თქვენ ასულს ჩემსას,
ისიც გეწვიათ...

ბ ე ნ ი ტ ო

გრძნობით აღსავსე,
ოხ, სენიორა, ვკოცნი თქვენს ხელსა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როცა ხელმწიფემ და ჩემმა მამამ
გაიგო თქვენი დიდი ნაღველი,
ის სინანულით თვით გაეწაბა,
ისურვა, იყოს თქვენი მნახველი...
წყრომა დაუცხრა, გესაუბრებათ,
და მისი ქცევა ხომ იმას ამხელს,
რომ თქვენ მოგვლით თავისუფლება,
რადგან ვინც ხედავს ხელმწიფის სახეს,
იმას სიცოცხლეც ელის კეთილი...
გულმონწყალისა ეს არის მცნება,
მარმარილოზე ამოკვეთილი,
რაც არასოდეს არ წაიშლება.

მ ე ფ ე (განზე)

რარიგ არ ძალუძს დაფარონ გრძნობა
შენმა თვალებმა, ყმაწვილო ქალო!

ბ ე ნ ი ტ ო

ო, თქვენო უდიდებულესობავ!
მე თქვენ სიცოცხლეს, ღირსებას მწყალობთ,
(თავისთვის) ეს სიტყვა ჭინკამ თუ მიკარნახა,
ან იქნებ თვითონ მომიგონია...

რ ო ბ ე რ ტ ო (განზე)

ერთი ამ ცხოველს დახედეთ ახლა,
თურმე რამდენი ჭკუა ჰქონია?

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

თავს არ ვუჭერებ, რა მეყურება,
ჰოი, უფლებავ! ცხოვრებავ ტკბილო!
თურმე როგორ სცვლით კაცის ბუნებას...

მ ე ფ ე (მარგარიტას)

დაბრმავებულხარ, შენ, ჩემო შვილო...

ბ ე ნ ი ტ ო

აქ მოაჩოჩეთ ის სავარძელი!

რ ო ბ ე რ ტ ო

მზად არის, თქვენო უმაღლესობავ!

ბ ე ნ ი ტ ო (თავისთვის)

აქ გადაგიხდი, შე საძაგელო,
იმ შენს პანდურებს და უწესობას. (ჯდება)
ო, ეს კარგია. (მეფეს) დაბრძანდით წამით,
გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ!
აღბათ აქ სადმე იქნება სკამი.

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

კვლავ დაუბრუნდა თავის ბუნებას,
და როგორ ჩქარა!

მ ე ფ ე (მარგარიტას)

რას იტყვი ახლა...

უჭებდი ქცევას, ღიდებულეზას;
ცაში აგუადა, ვარსკვლავებს მალლა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

მას ყოველგვარი ეკუთვნის ქება,
ოხ, გონება აქვს ისე ნათელი.
ან სავარძელში რა კობტად ჯდება,
ან რა ალერსის გამომხატველი
სიტყვით მოგმართათ, როგორც მესმიდა.
„გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ!
დაბრძანდით წამით“ — საქვეყნოდ ისმის
ქება-ღიდება მის ღირსებათა,
მაგრამ ეს მაინც ცოტაა მისთვის.

მ ე ფ ე

ეს ყველაფერი თუ მოგწონს მართლა?!
ასე საოცრად დაეესოს თვალი
მხოლოდ მას, ვინაც სიგიჟის ტყვეა,
ო, აქ სიყვარულს არა აქვს ბრალი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

და სიყვარულიც ხომ სიგიჟეა?

მ ე ფ ე (ბენიტოს)

მსურს მოგახსენოთ; აქ ჩამობრძანდა
თქვენი ძმა, თქვენო უმაღლესობავ.

ბ ე ნ ი ტ ო

ძმა სულ არა მყავს... საიდან სადა?

რ ო ბ ე რ ტ ო

თქვენ მისმა უდიდებულესობამ
გაუწყათ თქვენი ძმის მობრძანება,
გასაგებია? თქვენს ძმას მოველით.

ბ ე ნ ი ტ ო

იმ ძმა ინფანტზე თუ მეუბნება,
არც მსურს ვიცნობდე, ვინ ძმა, რომელი?
ეს კი სულ შენი ბრალია სწორედ, (რობერტოს)
ესეც შენ... ფიქრებს სულ დაგიფანტავ;
სწორ ცნობას კიდევ არ მომაწოდებ,
რომ ჩამოსულა, ვინ? ჰო, ინფანტი,
მერეც ბევრსა გცემ.

ფ ე დ ე რ ი კ ო

რა მოუვიდა?

მ ე ფ ე

რას მეტყვი, ჩინო ჩემი თვალისავე,
ხომ ზრდილი არის, ჭკვიანი დიდაღ.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (იცინის)

მაცინებს, როგორ გამახალისა...
ოხ, მშვენიერად მოიქცა სწორედ...

მ ე ფ ე

ესდენ გაუთლელს პირველად ვხედავ,
მართლა, ეს კაცი შენ მოიწონე?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

როგორ უხდება მას განრისხება.

მ ე ფ ე

ნუთუ ასეთი გაქვს გემოვნება?
ის შენი ქმარი ვერ გახდეს, ვფიცავ...
თუნდაც ამისი ძმის მეომრებმა
ჩემს ხალხთა სისხლით შეღებონ მიწა.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

თუმცა წინაშე მეფის და მამის,
ჯობია გიჟურ ამ გატაცების
შესახებ ვლუმდე, გიცხადებთ მაინც, —
ახლა ორივეს რომ შემოგვცქერის,
იმ ფედერიკოს ცოლი ვიქნები...

ფ ე დ ე რ ი კ ო (განზე)

როგორ მამხნევებს ამ შესიტყვებით...

ბ ე ნ ი ტ ო

თუ შეამჩნიეთ, დიღო მეფეო,
რა სიხარულით და აღმაფრენით
ვუცქერ ინფანტას, მსურს მოვეფერო...
ოხ, როგორ მიყვარს ასული თქვენი.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

რა არ უმტკიცებს, რომ არის პრინცი
სიცილისა, ტახტის მემკვიდრე?
რად დამაბრმავა მე სიყვარულმა?

მ ე ფ ე

ვილაც უმეტარს გადაეკიდე,
უხეშს, გაუთლელს...:

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ის ყველას აზრით
დიდი ვაჟკაცი და ჭკვიანია.

ბ ე ნ ი ტ ო

უნდა გამოვტყდე, ტურფა და ნაზი
ეს სენიორა მიყვარს ძალიან.

მ ე ფ ე

გავგიჟდი... იქნებ არის სიზმარი...
რა გააჩნია მას გონიერის?

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ღიახ, ასეთი სწორედ ის არი,
ახლა რომ გვისმენს და შემოგვეცქერის.

გამოსვლა მიათე

იგინივე და კაპიტანი

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მეფეო, რათა ხელს გეამბოროთ,
ნებას გთხოვთ ელჩი სიცილიელე.

რ ო ბ ე რ ტ ო (თავისთვის)

აქ გაიხსნება ეს ხლართივ ბოლოს.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

და გაირკვევა გაურკვეველი;
თუ სინამდვილის გინდათ შეცნობა,
მისგან გაიგებთ...

მ ე ფ ე

მოვიდეს. (ბენიტოს) წუთით
დაგვტოვეთ, თქვენო უმაღლესობავ.

ბ ე ნ ი ტ ო

ეს არც იმდენად იქნება ცუდი,
დღეს არაფერი არ მიჭამია.
წავალ, იქ სუფრა გაშლილი მიცდის,
შევჭამ კურდღელი თუ ქათამია,
ათიოდ ძეხვსა, თორმეტსაც წიწილს,
ხაჭაპურს ექვსსა, ოთხიოდ ღვეზელს,
ხბოს შემწვარ ღვიძლსაც მოვუღებ ბოლოს,
კარტოფილებსაც, რამდენიც შესწევს,
ათასი მსხალი ზედ დავაყოლო.
ეს ფედია რიკი არც ცუდად მაჭმევს,
მაშ ახლა წავალ და გავსუქდები...

ფ ე დ ე რ ი კ ო (თავისთვის)

მეც წავალ, თორემ თუ მნახა ელჩმა,
ვშიშობ, არიოს მან ქალაღდები

გამოსვლა მეთერთმეტე

ივინივე, ანტონა და გლეხები

ან ტ ო ნ ა

ენახოთ, ელჩს მეფე თუ როგორ ხვდება,
ამ ჩვენს სოფელში, რომ ვთქვა მართალი,
ეს სასწაული პირველად ხდება.

რო ბ ე რ ტ ო

მეფევ, სისწორით თუ მიჭრის თვალი,
თვითონ ინფანტი მოსულა ელჩად.

მ ე ფ ე

ოლონდ გათავდეს არევ-დარევა,
ამდენი ტანჯვა და გულის გლეჯა.ᄃ

მ ა . რ გ ა რ ი ტ ა (თავისთვის)

ვინძლო დამიცხრეს მეც მღელვარება.

გამოსვლა მეთორმეტე

ივინივე და ინფანტი

ი ნ ფ ა ნ ტ ი

ხელზე ამბორის მომეცით ნება,
დიდო მეფეო!

მ ე ფ ე

გამოტყდით ბარემ.
გიცნობთ ვინცა ხართ...

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

კვლავ საოცრება!

ი ნ ფ ა ნ ტ ი

გეტყვით, ელჩობას რად შევეფარე.
მსურდა, ვით ელჩსა ჩემივე თავის,
აქ თქვენს წინაშე გამოცხადება,
თუმცა შემიცანით, მეფეო, მაინც,
ელჩის უფლება ძალაში რჩება,
მადლობით ვიღებ წყალობას თქვენსას,
თქვენს სამეფოში რაც შემთავაზეთ.
მაშ მომისმინეთ მე როგორც ელჩსა:
ფედერიკო ხომ იმ მოედანზე
ერთზე პირისპირ გავიდა ერთი,
განაფრთხობინა დონ პედროს სული...
მან შეაგება მკერდს მხოლოდ მკერდი,
და შუბსაც შუბი მომარჯვებული.
ჩემს ძმას არ ჰქონდა არავითარი
უპირატესი საშუალება;
არც განუგმირავს იგი მიპარვით...
და ამისათვის - ეგ... მრისხანება

არის, მეფეო, უმართებულო.
ვით შეუხამოთ თქვენს სახელს მაღალს,
მეფევ, საქვეყნოდ განდიდებულო,
ჩემი ძმის მოკვლა რომ განგიზრახავთ?
ასე ამბობენ, და თუ ასეა,
ამით უარყოფთ სიტყვას მეფურსა.
ეს თქვენს ღირსებას არ ეთავსება,
არც თქვენს სიმძლავრეს, დამკვიდრებულსა;
დე, ძმა მომეცით, გთხოვთ თავდახრილი,
თორემ საქვეყნოდ მე განვაცხადებ,
რასაც შევუნთებ ცეცხლსაც მახვილით, —
რომ თქვენ, მეფეო, ხართ მანკიერი,
თქვენ დაარღვიეთ მეფური ფიცი,
და მართებული დაცვის მაგიერ,
მოაკვლევინეთ მზაკვრულად პრინცი.

მ ე ფ ე

აი რას გეტყვით: — ხელმწიფის ვალი
არის, თუ მართავს ასპარეზობას,
რომ ჭეროვანად ადევნოს თვალი,
ვინძლო არ მოხდეს იქ უწესობა;
მაგრამ ვერ შესძლებს იმის დაშვებას,
რომ კადნიერად შემართულ ხელით
თვით მეფის ცხვირთან იქნევდეს დაშნას
ვინმე სახელის მაძიებელი,
პრინციც ამიტომ ჩვენ შევიპყარით.

რაც შეეხება თქვენს გაფიქრებას,
თითქოს ის უკვე დასჯილი არი
ამის პასუხი აქ ის იქნება,
რომ ის ცოცხალი და მოლიმარი
თვალწინ უვნებლად წარმოგიდგებათ.
პეი, უბრძანეთ, რომ კოშკის ბანზე
ციხის უფროსი იმ პატიმართან
ერთად ავიდეს... ნახავთ და წამსვე
ყოველგვარ ეჭვებს ეს გაგიფანტავთ:
ან ვის მივცემდი მის მოკვლის ნებას,
თუ წუთის წინათ მინდოდა მისი
მარგარიტაზე დაქორწინება?
რათა მომესპო მით მარადისი
გაუგებრობა, შუღლი ჩვენ შორის.
კიდევ შევრთავდი, უფალმა იცის,
თუმც საჭიროა აქ გითხრათ სწორი,
ჭკუანაკლული აღმოჩნდა პრინცი,
რაც მის წოდებას არ ეკადრება.

ი ნ ფ ა ნ ტ ი

ვისაც აუხვევს თვალს ცდომილება,
ხამს ეპატიოს ყოველი იმას,
რადგან ღირსია შებრალებისა.
მეც გამოწვევა უკანვე მიმაქვს
კალთის ქვეშ თქვენი მოწყალებისა.

ე ლ ე ნ ე

ნუთუ დაუშვებს მეფე სულგრძელი,
ვისაც სიმართლე მოეთხოვება,
შეურაცხყოფის და ჩემი მკვლელის
დასჯის მაგიერ დაჯილდოებას?
ათავისუფლებთ თქვენ ფედერიკოს,
და მარგარიტას მას ცოლად შერთავთ?
დიდო მეფეო, ნუთუ არ ფიქრობთ,
რომ ეს ამბავი გულს მატკენს მეტად.
ძმა დამელუბა, აღარ მყავს მცველი...
დე ქმრის ყოლისა მომეცით ნება,
მომცეს უმწეს მან საფარველი
და აღმიდგინოს ძველი ღირსება.
გაუშვით პრინცი, თუმც არა ისე,
მეც არ ვთქვა სიტყვა პატიებისა.
ყოველგვარ წყენას წამს დავივიწყებ,
თუკი უფლება თქვენგან მელირსა,
მივთხოვდე ჰერცოგს მანტუის ბატონს,
თქვენს სამეფოში რომ გავიცანი...
დე ჩემს ღირსებას მან უპატრონოს, —
ჰა ერთადერთი ჩემი მიზანი.

შ ე ფ ე

ჰერცოგი გინდა? მაშ ის აქ არი?
სიტყვას ვიძლევი, მიჩვენე მხოლოდ,
დღესვე გახდება ის შენი ქმარი.

ე ლ ე ნ ე

ნება მომეცით ფერხთ გეამბოროთე:
(თავისთვის) მარგარიტაზე, ო რა ლამაზად
იმ ექვებისთვის ვიძიე შური.
მან ტყუილები შემომთავაზა,
თვით მოვატყუე ის უბედური.
დღეს ჩემს სიყვარულს ხვდა გამარჯვება.

გამოსვლა მითითხებით

იგინივე, კოშკზე ფედერიკო და ბენიტო

მ ე ფ ე

იქ, კოშკის ბანზე, დგას უმოძრაოდ,
ციხის უფროსი მხრით ებჯინება...
ხომ ცოცხალია?

ი ნ ფ ა ნ ტ ი

ძვირფასო ძმაო...:

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განზე)

თუმც სიყვარულით მან ძმას მიმართა,
რადგან ორივე ჩანს გადმომდგარი,
ჟერ როდი იცის კარგად ინფანტმა,
ვინ უფროსია, ვინ პატიმარი.

ე ლ ე ნ ე

ღმერთს გეფიცებით, ამ ტუსალს ვიცნობ.

ა ნ ტ ო ნ ა

მოდით, შეხედეთ, ბათო! ბელიარდო!
ხომ ბენიტოა, აი ის, პრინცი...
განა მთვრალი ვარ ეს მომელანდოს?

გ ლ ე ხ ი

შენთვის იყუჩე, არ დაივიწყო,
სად ხარ, ანტონა, ხომ გეყურება!

ა ნ ტ ო ნ ა

ჰო, ბენიტოა, მე იმას ვიცნობ,
მაგრამ, ეს კაცი რას ეუბნება?

ი ნ ფ ა ნ ტ ი

თმაში ჰალარა გამომერია,
დაგეტანჯა შენზე მგლოვიარებაჲ.

ბოლოს ხომ გნახე? ბედნიერი ვარ,
ჯილდოდ მიეყოფა ეს ნეტარება.

ბ ე ნ ი ტ ო (ფედერიკოს)

ის ძმა ინფანტი ეს არის განა?
თვალტანადობით არ მომეწონა,
მე არ შემფერის ძმა ამისთანა.
ჰაი, ვის ვხედავ... ჩემი ანტონა...

ფ ე დ ე რ ი კ ო

იყუჩე.

ბ ე ნ ი ტ ო

რატომ? ნუთუ პრინციები
ვერ ახსენებენ ანტონას სახელს?

ფ ე დ ე რ ი კ ო

კმარა.

ბ ე ნ ი ტ ო

გავჩუმდი, ღმერთს გეფიცები.
მაგრამ, ის გოგო ხომ ღაინახეთ?

ა ნ ტ ო ნ ა

ბათო, მითხარი თუ რამე იცი...
მასთან მობრძანდა ინფანტი თვითონ,
ყველა იძახის, ძმაო პრინცის.

ფ ე დ ე რ ი კ ო (თავისთვის)

მეც ვუპასუხებ იმგვარად ვითომ
სიტყვას ვამბობდღე პატიმრის ნაცვლად,
მსურს გამოვხატო თან ჩემი განცდაც, —
თუ დაამუნჯებს კაცს აღტაცება,
ვითლა შეიძლოს მან ხმის გაცემა?!..
(უკან დაიხვეს და წინ ბენიტოს წამოაყენებს)

ი ნ ფ ა ნ ტ ი

უკვე ძმის ნახვით რომ გავიხარე,
მეფეთ მეფეო, ეს ამიხსენით, —
მინდა გავიგო, რად იუარეთ
პრინცს მიათხოვოთ ასული თქვენი?

მ ე ფ ე

ღირსი არ არის ტახტი განაგოს.

ი ნ ფ ა ნ ტ ი

მისი გონება ქვეყანას შურდა.

მ ე ფ ე

ის ვისაც ახლა ელაპარაკეთ,
ხომ თქვენი ძმაა?

ი ნ ფ ა ნ ტ ი

რალა თქმა უნდა!

მ ე ფ ე

ისე ტლანქი აქვს სიტყვა და ჩვევა,
თავი უჭირავს ისე უღირსად,
ეგრე ცხოველიც არ მოიქცევა.

ი ნ ფ ა ნ ტ ი

მას როგორც პატრონს მახვილ ჭკუისას
ქვეყანა იცნობს, აქ კი შეშლილა.
ალბათ ციხეში გაგიჟდა ასე.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა (განზე)

ისინი ორნივე სიბნელეშია, —
ლაპარაკობენ სულ სხვადასხვაზე.

მ ე ფ ე

და რომ ეს თქვენთვის ნათელი იყოს,
ბოლოს გაირკვეს გაუგებრობა,
(მსახურს) დე მოიყვანეთ აქ ფედერიკო.
(ინფანტს) და მის სიტყვაში თუ შეიცილობა
რამ ჭკვიანური, მე სიტყვას გაძლევთ,
მას ვაქორწინებ მარგარიტაზე.

ე ლ ე ნ ე

ბოლოს სიმართლე აქ გაიგება, —
და თუ ისინი მართლაც ძმებია,
მათ საუბარში ხომ გამოჩნდება,
როცა ერთმანეთს წარუდგებიან.

იგინივე, ბენიტო და მსახური

ბ ე ნ ი ტ ო (მსახურს)

ისე მომყვები, თითქოს ცხენი ვარ
და გასაყიდად აქ მომიყვანე.
ნეტავი ასე რად მიცქერიან? (მეფეს)
რატომ მეძახლით? მეფეო, ბრძანეთ...
აჰა, ეს არის ჩემი ძამიკო?

მ ე ფ ე (ინფანტს)

ხედავთ რა ცოტა ხანი დასჭირდა,
მისი სიტლანქე გამომჩნდარიყო;
კარგად უცქირეთ, ღარწმუნდეთ მინდა.

ი ნ ფ ა ნ ტ ი

აღბათ თქვენ ხუმრობთ? პრინცის მაგიერ
ცდილობთ სხვა ვინმე შემომატყუოთ,
ჩემს ძმას რა უგავს?

მ ე ფ ე

ველარ გავიგე,
ნუთუ ეს არის კიდეც სათუო?
ხედავდით, კიდეც გაეხმაურეთ.

ი ნ ფ ა ნ ტ ი

ღიახ, მეორეს...

ე ლ ე ნ ე

მეფეო, ვიცნობ, ეს აქაური
გლეხია.

მ ე ფ ე

ისევ სიბნელეში ვარ...
აი წამება მოწამებრივი...
სხვა პატიმარი მე აქ ვინა მყავს?
ვერ გამიგია რას შემომჩივით...

ი ნ ფ ა ნ ტ ი

ის ჩემი თვალით თუ დამინახავს
რადლა უარობთ?

მ ე ფ ე

მოვიდეს ახლავ
ციხის უფროსი, ეს თუ არ გჯერათ.

ე ლ ე ნ ე

იგი მანტუის ჰერცოგი გახლავთ.
და გთხოვთ მოეპყრათ მას შესაფერად.

მ ე ფ ე

აქაც სიცრუე.

კ ა პ ი ტ ა ნ ი

მეფევ, აქ არის
ციხის უფროსიც.

ი ნ ფ ა ნ ტ ი

აი, ჩემი ძმა.

ფ ე ლ ე რ ი კ ო (ინფანტს)

ნება მოჰეცით თავი დავხარო
ჯერ თქვენს წინაშე პატივისცემით.
ვიდრე მკლავებით შემოგეჭლობით.
(მეფეს) თქვენს სამეფოში დავიდრე ბინა,
დამწვარმა თქვენი ასულის ტრფობით,
მე თქვენმა რისხვამ ვერ შემაშინა.
გავხდი საკუთარ ციხის დარაჯი,
თქვენც კარგად იცით, ყოფნა ფარული,
რატომ ვარჩიე ამ ქვეყანაში.
მწამს გაიმარჯვებს ეს სიყვარული,
თუ ამ სიყვარულს თქვენც დაგვილოცავთ,
მზემაც თენებით მოგვიალერსოს.

ე ლ ე ნ ე

არა, ო, არა, მან სიტყვა მომცა,
რომ, აი, დღესვე მანტუელ ჰერცოგს
ცოლად გამატანს.

მ ა რ გ ა რ ი ტ ა

ელენე, ცდებით

ეს ხომ პრინცია სიცილიელი...
დე ისაზრდოოს თავის ოცნებით,
ვინც თავს იტყუებს.

მ ე ფ ე

მიეცი ხელი

პრინც ფედერიკოს, გადაწყდა, შვილი,
შენს სასარგებლოდ აქ ყველაფერი.

ფ ე დ ე რ ი კ ო

ო, სიხარულის წუთებო ტკბილო,
ასჯერ, ათასჯერ ვარ ბედნიერი.

ე ლ ე ნ ე

ო, რა ტკივილით გემშვიდობებით,
იმედნო ჩემნო, წყვლიადი გფარავთ...

მ ე ფ ე

ჩემო ელენე, ნუ დაღონდები,
რამეს ვიღონებ შენს გასახარად.

ბ ე ნ ი ტ ო

საქმე თავდება აქ სხვანაირად,
მე ხახამშრალი რად უნდა დავრჩე?
ნუთუ მე ვიყავ მუქთი დაირა,
რომ ითამაშეთ და მათამაშეთ
თქვენნივე გულის სამხიარულოდ?
ჰოი, ცხოვრებავ და სიყვარულო!

დასასრული

ღონ პედრო კალდერონი

დროშკმული ფეოდალიზმი და კათოლიკური ეკლესია ჯვაროსნული ომებით ამაოდ ცდილობდნენ გაენელებინათ ის სოციალური დუდილი, რომელიც ახალ საზოგადოებრივ წყობილებას ნიადაგს უმზადებდა. ჯერ რენესანსის მძლავრმა ჰუმანისტურმა მოძრაობამ და შემდეგ რეფორმაციულმა ოცდაათწლიანმა ომებმა საზოგადოებრივი განვითარების სულ სხვა, ძირეულად განსხვავებული პერსპექტივები დასახეს. ჯვაროსანთა ომების გამოცდილებამ ესპანეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიას ხელი ააღებინა სახმელეთო გზის ძიებისაგან აღმოსავლეთისაკენ, მისი გულისყური ამიერიდან ზღვისაკენ არის მიქცეული, — დგება დრო ბართოლომეო დიასისა და კაბოტისა, ვასკო-დე-გამასა და მაგელანისა, დგება დრო პირსისხლიანი კოლონიზატორებისა და კონკვისტადორებისა.

მას შემდეგ, რაც ქრისტიანული კოლუმბის კარაველები ამერიკის მატერიკს პირველად მიადგნენ, ხოლო პირველმა ევროპელმა მეზღვაურებმა აფრიკას ირგვლივ შემოუარეს და მით გზა ინდოეთისა და მის მიმდგამ ქვეყნებისაკენ ხმელეთით კი არა, ოკეანეზე გაჰკაფეს, სამყარო თითქოს ერთბაშად გაგანიერდა. აღმოჩნდა, რომ ქვეყნიერება არც ისე ვიწრო ყოფილა, როგორც ამას მაშინდელ მონასტრებში ჭადაგებდნენ.

ოკეანეზე გაბატონებული ესპანეთი ამიერიდან მესაქის როლს თამაშობს არა მხოლოდ ეკონომიკასა და პოლიტიკაში, არამედ მეცნიერებასა და ხელოვნებაშიც. ესპანური ლიტერატურის ოქროს ხანას, რომელიც ერთ საუკუნეს გრძელდებოდა, მიეკუთვნება ღონ პედრო დე ლა ბარკა კალდერონი (1600—1681).

9 წლის კალდერონი მშობლებმა იეზუიტთა სკოლაში შეიყვანეს სასწავლებლად, ხოლო 15 წლის იყო, როცა იგი სალამანკის განთქმულ უნივერსიტეტში შევიდა განათლების დასასრულებლად. სამართლისა და მათემატიკურ საგნებთან ერთად მან აქ მოისმინა თეოლოგიის სრული კურსი, რაც

მაშინ აგრე სავალდებულო იყო მისი დიდგვაროვნებისათვის შესაფერი სასულიერო ხარისხის — კაპელანობის — მისაღებად.

კალდერონმა სულ ახალგაზრდამ დაიწყო პიესების წერა და მალე ისე გაითქვა სახელი, რომ დიდებულ ლოპე დე ვეგას გარდაცვალების შემდეგ მის ადგილზე დანიშნეს ხელმწიფის კარის დრამატურგად. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არამტოუ თავის სიცოცხლეში, არამედ მთელი XVIII საუკუნის მანძილზედაც.

1637 წელს მას სანტ-იაგოს კაპელანის ხარისხი ებოძა, ხოლო 1663 წელს იგი წმინდა პეტრეს იეზუიტთა ძმობას ჩაუდგა სათავეში, რამაც კიდევ უფრო მეტი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე, — საერო თემების მაგიერ ამიერიდან მის ყურადღებას მძლავრად იპყრობს სასულიერო შინაარსის სიუჟეტები.

მიუხედავად მის პიესათა მრავალფეროვნებისა, ისინი გაერთიანებული არიან ერთი დედაზრით, — სარწმუნოებრივ-ეთიკური იდეებით. ამ დიდი შემოქმედის თეოლოგიურ-მისტრიკური შინაარსის პიესები ერთხმად აღიარებენ ამქვეყნადური ცხოვრების ამაოებას. ამ პესიმიზმით იგი ქვემარატივი წარმომადგენელია უკვე დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავადაზნაურული კლასისა და საეკლესიო არისტოკრატიისა.

ტირსო დე მოლინას, ლოპე დე ვეგასა და სხვათა შემდგომ კალდერონის კომედიათა სიახლე მდგომარეობდა იმაში, რომ მან ზედმიწევნით დამუშავა დრამატურგიული ინტრიგები და მათემატიკური სიზუსტით წარმართა დინება სიუჟეტისა. კალდერონის პიესებში ამიერიდან კომედიურ ინტრიგას ხსნიან არა მოქმედი პირნი, არამედ ბრმა შემთხვევანი, მთავარი გმირი მისი ამგვარი დრამებისა ადამიანი როდია, — ბრმა შემთხვევა და ეს შემთხვევა განაგებს მის ქცევებსა და სიცოცხლეს, რაც გამოწვეულია ავტორის პესიმიზმური მსოფლმხედველობით. სასულიერო შინაარსის პიესებში იგი ღრმად ატარებს იმ აზრს, რომ ადამიანი თავისივე ბედის გამომქედელი კი არა, ბრმა იარაღია შემთხვევისა, და ამიტომაც ამაოა, ზედმეტია მისი ბრძოლა.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო მომენტიც: კალდერონს დაწერილი აქვს პიესა სახელწოდებით „ცხოვრება სიზმარა“, რომლის სიუჟეტიც აღებულია საშუალო საუკუნეებში დიდად გავრცელებული ქართული სასულიერო რომანიდან „სიბრძნე ბალავარისა“. ბელგი-

ელმა მეცნიერმა პეტერსმა უცილობლად დამტკიცა, რომ ექვთიმე მთაწმინდელმა ამ რომანის ქართული დედანი განვრცობილად თარგმნა ბერძნულად, ხოლო მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში ეს ქართული რომანი ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნათ და ამ თარგმანის მეოხებით გავრცელებულა იგი მთელ ევროპაში. ამ რომანის საყურადღებო სიუჟეტით ისარგებლა ჭერ ლოპე დე ვეგამ და შემდეგ კალდერონმა, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა ეს სიუჟეტი და დაუმორჩილა იგი თავის პესიმისტურ მსოფლმხედველობას.

სასულიერო შინაარსის პიესების გვერდით კალდერონს გააჩნია სხვაგვარი ხასიათის პიესებიც, რის გამოც იგი საბჭოთა მკითხველის ყურადღებას იქცევს. ამგვარი ხასიათის პიესებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „სალამეს ალკალი“, რომელშიც მან მთელი თავისი ნიქის შესაფერ ბრწყინვალეობით განასაზიერა დემოკრატიული იდეები იმ ხალხისა, რომელიც თვადანაწილად ძალადობისა და თვითნებობის წინააღმდეგ მრისხანედ აღმდგარა. კალდერონის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პიესა „სასულიერო მემკვიდრეობა“, რომელსაც კარლ მარქსმა „კათოლიკური ფაუსტი“ უწოდა, მანვე შექმნა აგრეთვე მთელი რიგი პიესებისა, რომლებშიც მაშინდელი ადამიანის ღრმა სოციალური მშფოთვარება მართლაც რომ ქეშმარიტი რეალობით გამოხატა.

კალდერონმა მთელ თავის სიცოცხლეში 200-ზე მეტი პიესა დასწერა და ყოველ მათგანში მკაფიოდ გამოსჭვივის მისი კუშტი გენიის ქმუნვარება. კალდერონი, როგორც შემოქმედნი, ძალზე რთული პიროვნებაა და მისი შემოქმედების ამ სირთულით აკი სარფიანად ისარგებლა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულმა კრიტიკამ. ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში გერმანელ რომანტიკოსთა რეაქციულმა ფრთამ ძმების შლეგელების მესვეურობით ეს მწერალი განადიდა მხოლოდ იმის გამო, რომ მის შემოქმედებაში კვრეტდნენ კათოლიკურ დოგმათა მღალადებელსა და სხვას არაფერს. წინა რიგში მათ წამოსწიეს კალდერონის შემოქმედების არა ხალხურ-დემოკრატიული თვისებანი, არამედ რელიგიურ-მისტიკური შინაარსის პიესები და მით არასწორი წარმოდგენა შექმნეს მის ირგვლივ. ეს უმართებულო განმარტება მისი შემოქმედებისა ახლაც მძლავრად ბატონობს ევროპაში. საგულისხმოა, რომ რეაქციულ გამყალბებლებს ლიტერატურის ისტორიისა სიამოვნებით ამოუდგნენ მხარში ამერიკელი

ეგრეთ წოდებული „კრატკოსებიც“. უნდა ითქვას აგრეთვე ისიც, რომ მათ დიდი ხალისითა და მოწადინებით განავითარეს გერმანულ რევოლუციონერ რომანტიკოსთა ნაყალბევი და მით კალღერონი აქციეს ხუცობისა და ობსკურანტიზმის მედრომედ, რითაც გასწრახ მიაფუჩიჩეს მისი შემოქმედების ჯანსაღი მხარე.

კალღერონის ეგრეთ წოდებული „დ შნისა და მოსასხამის“ კომედიები, რომელთა რეცხეს მიეკუთვნება აგრეთვე კომედია „თავისი თავის დარაჯიც“, მიუხედავად მათი სიუჟეტური აღნაგობის პირობითობისა, სულ სხვაგვარად წარმოვედგენს დიდი კომედაოგრაფის შემოქმედებითს სახეს. ამ პიესებში, ცოტად თუ ბევრად, დაძლეულია მისი მითოლოგიური და რელიგიურ-ფილოსოფიური შინაარსის დრამათა რეაქციული ხასიათი. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მისი „დ შნისა და მოსასხამის“ კომედიებშიც, სადაც თემად აღებულია არა თეოლოგიური პრობლემები, არამედ ჩვეულებრივი ხალხის ანდა აზნაურობის ყოფა-ცხოვრება, შეიძლება აღმოჩენილ იქნას ის საერთო რამ, რომლითაც ისინი, ასე თუ ისე, მაინც უკავშირდებიან მისსავე თეოლოგიური შინაარსის დრამებს. ეს საერთო რამ მდგომარეობს იმაში, რომ კალღერონი ყველა ამ ხასიათის პიესებშიც იცავს თავის შეზღუდულებას, — პრინციპს ყოფის ორადობისა და ხაზგასმით ატარებს მუდმივი წინააღმდეგობას, მუდმივი კონფლიქტის იდეას სინამდვილესა და მოჩვენებებს შორის, რეალობასა და ილუზიას შორის.

ამგვარსავე სიუჟეტურ მოტივთან გვაქვს საქმე კომედიებშიც „თავისი თავის დარაჯი“, სადაც სინამდვილე მერყევად, არამყარად არის წარმოდგენილი. ჩვენ აქ არ მოვიტანთ მის სიუჟეტს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ბრმა შემთხვევა ამ პიესის გმირს, გლეხ ბენიტოს, აგდებს უჩვეულო მდგომარეობაში. საქმე ის არის, რომ იგი შემთხვევით იპოვის სიცილიის პრინციპსაგან ბუჩქებში დამალულ ტანისაძრისა და საქურველს, საქურველს იმ პრინციპსა, რომელმაც ტურნირზე მოკლა თავისი მეტოქე დიდგვაროვანი რაინდი ღონ პედრო სფორცა, მაგრამ ვერ იცნეს, რადგან მას სახეზე შავი ნიღაბი ჰქონდა აფარებული. ამგვარად, მკვლელი რაინდისა აღმოჩნდება არა ნამდვილი მკვლელი, არამედ უბრალო ბენიტო, რადგან მას მკვლელის ტანისამოსი აცვია. გარდა ინფანტა მარგარიტასი, რომელსაც რაინდის ნამდვილი მკვლელი პრინცი ფედერიკო გატაცებით უყვარს, გლეხი ბენიტო ყველას მკვლელი და თან პრინცი ჰგონია. საქმე ის არის,

რომ უბრალოდ გადაცემული და გაშოუცნობი ნამდვილი პრინცი ფედერაციო, ინფანტა მარგარიტას გარდა, თვით მოკლული რაინდის მწუხარე დასაც შეუყვარდება; მაგრამ ესეც არაფერი, — მთავარი ის არის, რომ ნამდვილი მკვლელი, როგორც ციხის უფროსი, შეეცდომით დაპატიმრებულ ცრუ მკვლელ ბენიტოს დარაჯობს და ამგვარად მთელ პიესაში ყველა სიბრტყეები გადაადგილებულია, ნამდვილი და მოჩვენებითი ერთიმეორეში გადახლართულია და იქ, სადაც სინამდვილეს მოელი, — მოჩვენებაა, ილუზია.

მთავარი საგარი და ობიექტი ილუზიისა, გლეხი ბენიტო, აღშფოთებულია ამ შეცდომით, მაგრამ მოსწონს, რომ პრინცს ეძახიან და პატივს პრინცის შესაფერისად სცემენ. ამგვარად, სინამდვილის ის მყარი ჩარჩოები, რომელთა შორის იგი აქამდე თავს აგრე კარგად გრძნობდა, თითქოს დაირღვა, ზღვარი ნამდვილსა და მოჩვენებას შორის ერთბაშად დაიკარგა, მიჯნა რეალობასა და ილუზიას შორის, ცხადსა და სიზმარს შორის ისე მოულოდნელად წაიშალა, რომ საწყალ ბენიტოს თვითონაც არ ესმის რა ემართება, რა ხდება მის თავს. საქმე იქამდე მიდის, რომ ბოლოს ისიც კარგავს ნათელ წარმოდგენას რეალობაზე და ვერ გაუგია, ცხადია ყოველივე ის, რაც მას შეემთხვა, თუ მხოლოდ სიზმარია? როგორც ვთქვით, რეალობის ამ ორად განაზობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან და ამის მიხედვით მოქმედებენ კომედიის თითქმის ყველა გმირები.

ამგვარად, კალდერონს თავისი „დაშნისა და მოსასხამის“ კომედიებში, სადაც არა სიმბოლოები, არამედ ცოცხალი ხალხი მოქმედებს, თითქოს გადმოაქვს ის თავისი ცნობილი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რომელიც არსებითად უარყოფთა რეალობისა. მაგრამ ეს მთლად ასე როდია. ამ ციკლის პიესებში ხდება ერთი რამ, რაც ჩვენს საბჭოთა მკითხველს ან მაყურებელს აიძულებს მიიღოს ისინი. კალდერონი ბოლოს მაინც უარყოფს ამ ორადობას ყოფისა. თავის კომედიათა სიუჟეტს იგი წარმართავს იმგვარად, რომ ყველაფერი დასასრულს გაუგებრობა ანდა უბრალო შეცდომა აღმოჩნდება. ამ ციკლის პიესებით იგი თითქოს გვეუბნება, რომ რეალობა შეიძლება მოგვეჩვენოს არარეალობად, რომ ამ რეალობას გარდა, თითქოს არის კიდევ რაღაც სხვა რეალობა, რომელიც ჩვენს მიღმა და ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, მაგრამ ნამდვილად ეს ასე როდია. თუ ჩვენ მის კომედიათა (და არა დრამების) შინაარსს უფრო ღრმად ჩავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ნამდვილად არავითარი სხვა რეალობა არ არსებობს, რომ

არის მხოლოდ ერთადერთი სინამდვილე და ეს სინამდვილე განსაზღვრავს ყველა ჩვენს ქცევებსა და დამოკიდებულებებს.

გლეხი ბენიტო უეცრად პრინცად იქცა. თავისი ნამდვილი ყოფის ერთი არადან თავი მან სულ სხვა, საწინააღმდეგო არეში ამოჰყო, მაგრამ ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მის წინაშე მართლაც რაღაც სულ სხვა, განსხვავებული რამ რეალობა წარმოიშვა, არამედ იმიტომ, რომ გლეხი ბენიტო თავისი სულიერი თვისებებით მომზადებული იყო ასეთი მდგომარეობისათვის. მას უყვარდა ჩაცმა, დახურვა, უყვარდა რომ იგი განსაკუთრებით გამოჩნეული ყოფილიყო თავის თანატოლთა შორის, იყო მიაშიტი და თან თავზადიც და ამ სულიერ თვისებათა გამო იგი ადვილად დანებდა ცდუნებას. ობიექტურ მიზეზთა გამო შექმნილ პირობებით იგი აღმოჩნდა სულ სხვა მდგომარეობაში, აღმოჩნდა დროებით, რადგან ყოველთვის ეს შეცდომა იყო და შეცდომა ბოლოს უნდა გამოაშკარავებულიყო.

დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ უბრალოა ჯანსაღად მოაზროვნე გლეხი ბენიტო, მთელი ამ ამბის მანძილზე არ ღალატობს თავის თავს, ანუ რეალობას. იგი სხვა ვინმე კი არა, მუდამ თვითონ არის და არასოდეს არ წყვეტს ცოცხალ კავშირს სინამდვილესთან.

კალდერონი განზრახ უსვამს ხაზს მის ამ თვისებებს იმით, რომ იგი არ წეება დასაძინებლად პრინცის საწოლში, რადგან ეს მისი ნამდვილი სამყოფელი მართლაც არ არის, იგი მისი ნამდვილი მდგომარეობის გამომხატველი არ არის. კალდერონი ხაზს განზრახ უსვამს მის ჯანსაღ ინსტინქტებს და როცა ბენიტო გლეხური გულახდილობით ნატრობს თავის ანტონას, იგი მასთან ერთად თითქოს ნატრობს თავის დროებით დეკარგულ უბრალო მდგომარეობას, იმ სინამდვილეს, სადაც მისთვის ყველაფერი ნაცნობი იყო. ნამდვილი და ნათელი იყო. ამიტომაც არის, რომ იგი არად ავდებს პრინცესების აღტაცებას. მას უყვარს პრინცესებსა და ფერიებზე ლაპარაკი, როცა ამას ადგილი აქვს ზღაპარში, მაგრამ, როცა მან თავი თითქოს ზღაპარში ამოჰყო და ირგვლივ ფერიები შემოეხვიენენ, იგი თავს თავის ადგილას ვეღარ გრძნობს, შეწუხებულია ამ მდგომარეობით. ამ ბრწყინვალე პრინცესებს მას თავისი უბრალო ცხოვრება, თავისი ჩათქვირული გლეხის გოგონა ანტონა ურჩევნია. ფანტაზია მაშინ არის კარგი, როცა იგი ფანტაზიაა და სხვა არაფერი. მას ლაპარაკიც არ სურს მის სანახავად მოსულ მეფესთან, რადგან იგი მისთვის თითქოს სხვა, აბსტრაქტული რეალობის წარმომადგენ-

ლა და თითქოს პროტესტის ნიშნად ხეპრულად სწყევტს მასთან აუდიენციას და პანტაგრაფელისტურა მაღის აღმძვრელი პათოსით ლაპარაკობს იმ აუარებელ და გემრიელ საქმელებზე, რომლითაც მას ციხეში აგრე უხვად უმსპინძლდებოან.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც მას აგრე მოულოდნელად დაემართა და თავი ასეთ მდგომარეობაში ამოპყო, იგი მაინც ბენიტოდ დარჩა და თავის ამგვარ ყოფას სკვრეტს არა როგორც საბედისწერო და თავიდან აუცდენელ რამეს, არამედ როგორც ხუმრობას, რომლის აზრაც მას არ ესმის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მან არ იცის თავჯდასაველი იმ პრინციისა, რომლის მდგომარეობაში იგი მისდა მოულოდნელად ჩავარდა.

როგორც ჰქვდავთ, ყველაფერი უბრალოდ ხდება, ყველაფერი ნათელია, მიზეზობრივად ყველაფერი ურთიერთკავშირშია და არავითარ ალოგიზმს აქ ადგილი არა აქვს; ამ უჩვეულო ამბავში, ასე გასინჯეთ, თვით შემთხვევითობაც აშორებულა, ყველაფერი ვასაგებია და გმირთა ურთიერთდამოკიდებულებანიც რეალურ ხასიათს ატარებენ. ურთიერთწინააღმდეგობა სინამდვილესა და მის მოჩვენებას შორის მოხსნილია და მას დაკარგული აქვს ტრაგიკული ხასიათი, ყველაფერი კომიკური იერით არის მოსილი.

ყოველივე ის, რაც ჩვენ „თავისი თავის დარაჯის“ გამო ვთქვით, ღრმა აზრს ანიჭებს ამავე ავტორის „დაშნისა და მოსასხამის“ სხვა კომედიებსაც.

მაგრამ ისმის საკითხი, — რით უნდა ავხსნათ ასეთი გაორება, ერთურობის მოწინააღმდეგე მიმდინარეობა კალდერონის შემოქმედებაში? ჯერ ერთი იმით, რომ თვით კალდერონი განიცდის დიდ შინაგან კონფლიქტს, მის არსებაში ღრმა კიდილს აქვს ადგილი სინამდვილის ჯანსაღ გრძნობასა და სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობას შორის, რომელიც უარყოფს სინამდვილეს. რაცა იგი სიმბოლოებითა და ცნებებით გამოხატავს თავის მსოფლმხედველობას, თავის რელიგიურ-მითოლოგიური შინაარსის დრამებში, იგი რეტროგრადია, პესიმისტია, აბსტრაქტულია, მაგრამ როცა იგი, როგორც მხატვარი, ანთოლოგიით შეეხება ცხოვრებას და თავს სასეთა ქემმარტად მხატვრულ საოყაროში იგრძნობს, ერთბაშად გარდაიქმნება ხოლმე და მაშინ იგი, როგორც მხატვარი, მოწინავეა, ოპტიმისტია, კონკრეტულია.

სახალხო თეატრი, სადაც მისი კომედიები იდგმებოდა და რომლის მაყურებელთა შემადგენლობა მრავალფენოვანი იყო, ხოლო უმეტესობას მაშინდელი საზოგადოებრიობისა საშუალო და ქვედა ფენები წარმოადგენდნენ, მოითხოვდნენ თეატრისაგან, იმ თეატრისაგან, რომელიც არსებითად მათ ეკუთვნოდა, რომ მათ სცენაზე განსახიერებელი ყოფილყო ნამდვილი ცხოვრება და არა აბსტრაქციები.

ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას თუნდ ის ფაქტიც ადასტურებს, რომ კალდერონის მითოლოგიურ-რელიგიური შინაარსის დრამები, სადაც სინამდვილე დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა ანდა უარყოფილი იყო, იდგმებოდა არა სახალხო თეატრში, არამედ სასახლეში და რელიგიურ დღესასწაულებზე, სადაც მაცურებელი დანაწევრებული კი არა, ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, დონ პედრო დე ლა ბარკა კალდერონი პირადად იყო თავისი სოციალურად გაორებული, შინაგანი კონფლიქტებით დაბზარული საზოგადოებისა და მისი შემოქმედება ამგვარად გამოხატეა მისივე ეპოქისა. ამიტომაც პიესა, რომელიც ახლა იბეჭდება, საგულისხმო პიესაა. აღსანიშნავია, რომ ეს პიესა არუსულად თარგმნა ვ. ლევიკმა ესპანური ენისა და ლიტერატურის ისეთი მკოდნის უშუალო დახმარებით და თანამთარგმნელობით, როგორც პროფესორი ვ. ს. უზინია. პროფესორ ვ. უზინის ბწყარედის მიხედვით და თან უშუალო მეთაურობით თარგმნა ქართულად ეს პიესა პოეტმა დავით გაჩეჩილაძემ და ამგვარად იგი როდი წარმოადგენდა თარგმანს თარგმანიდან, იგი სანდო ტექსტია და ამიტომაც კარგი შენაძენია ჩვენი ლიტერატურისათვის, მით უფრო, რომ კალდერონის არც ერთი პიესა აქამდე ქართულად არ თარგმნილა და არ დადგმულა ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პიესას.

დომენა შენბელაია

Кальдерон

Сам у себя под стражей

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1970

რედაქტორი ლია ელიოზიშვილი
მხატვარი ლორეტა შენგელია
მხატვრული რედაქტორი რომან მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე
კორექტორი ოლია ცინცაძე
გამომშვები შოთა ლეჟავა

გადაეცა წარმოებას 18/IV-69 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-70 წ.
ქალაქის ზომა 70×108¹/₃₂.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6,87.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,43.
ტირაჟი 7 000. შეკვეთა № 529.
ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,
ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета
Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, Орджоникидзе № 50.